# ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## მორიგი სხდომის

## ო ქ მ ი N12

ქალაქი ბათუმი 2023 წლის 19 დეკემბერი

$11^{00}$ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე – რამაზ ჯინჭარაძე.

**ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ :**

ირაკლი თავდგირიძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

ნატალია ზოიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

ზურაბ ნაკაიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

მინდია გოგუაძე - საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;

დავით მახარაძე - საკრებულოს იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

ლევან ცხოიძე - საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

გოჩა მგელაძე - საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე;

ნერიმან ცინცაძე – საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

თენგიზ აფხაზავა - ფრაქციის „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარე;

ასლან ბალაძე - ფრაქციის ,,ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო'' თავმჯდომარის მოადგილე;

როსტომ ხალვაში - ფრაქციის ,,ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო'' თავმჯდომარის მოადგილე;

ლევან ბერიძე - ფრაქციის ,,ქართული ოცნება – დემოკრატიული

საქართველო'' თავმჯდომარის მოადგილე;

ლევან ლოლაძე - ფრაქციის ,,ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო'' თავმჯდომარის მოადგილე;

ნოდარ ლემბაძე - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარე;

ნატო ნაცარაშვილი - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილე;

ნაზი ფუტკარაძე - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილე;

მამუკა ქობულაძე - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილე;

აკაკი გვიანიძე - საკრებულოს წევრი;

თეონა ბერიძე - საკრებულოს წევრი;

ნინო ცხვარაძე - საკრებულოს წევრი

რიჩარდ სირაბიძე - საკრებულოს წევრი;

ნატალია ძიძიგური - საკრებულოს წევრი;

გიორგი ლომთათიძე - საკრებულოს წევრი;

ირაკლი ძიძიგური - საკრებულოს წევრი;

თეკლე კავაზაშვილი- საკრებულოს წევრი;

რევაზ ხარაზი - საკრებულოს წევრი;

ვაჟა ლორჩია - საკრებულოს წევრი;

ქეთევან ლასტაკანიძე - საკრებულოს წევრი;

ილია ჯინჭარაძე - საკრებულოს წევრი;

ეკატერინე ზარია - საკრებულოს წევრი;

**არ ესწრებოდნენ:**

ბაჩი მექვაბიშვილი - ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილე (საპატიო მიზეზით);

ალექსანდრე ვარშალომიძე - საკრებულოს წევრი (საპატიო მიზეზით);

კახაბერ ქამიბაძე - საკრებულოს წევრი;

ირაკლი ზოიძე - საკრებულოს წევრი (საპატიო მიზეზით);

**სხდომას ესწრებოდნენ:**

-ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი - არჩილ ჩიქოვანი;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი - ლევან დავითაძე;
-ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ნუკრი დეკანაძე;
-ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - გიორგი წანაწყენიშვილი;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი - მერაბ ქიძინიძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - რუსუდან ჟოჟაძე;
-შპს ,,ბათუმის წყალის" დირექტორი - ალექსანდრე მჟავანაძე;
-ა(ა)იპ - ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების განყოფილების უფროსი - ლაშა მამულაძე;
-შპს " შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ცენტრი" დირექტორი - დავით ლუკავიშვილი;
-შპს ,,სანდასუფთავების" დირექტორი -სულხან ევგენიძე;
-ა(ა)იპ - „გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური"დირექტორი -თამაზ სალუქვაძე;
-ა(ა)იპ - „ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო" დირექტორი - მამუკა შამი-ლიშვილი;
-ა(ა)იპ - „მუნიციპალური სერვისების სააგენტო" დირექტორი - ჯაბა ბერიძე;
-ა(ა)იპ - „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო" დირექტორი - აკაკი ბერიძე;

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:**

-საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე;

- საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე;

- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე;

- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე;

– საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი – ლელა ნემსაძე;

– საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი – ბადრი წულუკიძე;

– პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ, მიესალმა სხდომაზე დამსწრეებს და მიულოცა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება, რომელიც ევროკავშირში გაწევრიანების პოლიტიკის პრიორი–ტეტული ამოცანაა და წევრ ქვეყნებთან საქართველოს თანამშრომლობის დღის წესრიგის უმთავრესი საკითხია", საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადასასვლელად კანდიდატის სტატუსის მიღებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება და საქართველო აკეთებს ყველაფერს, რათა გაგრძელდეს შეუფერხებელი წინსვლა ევროპისკენ. აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომას ესწრება საკრებულოს წევრთა ნახევარზე მეტი, სხდომა უფლებამოსილია განიხილოს დღის წესრიგით გათვალისწინებული 31 საკითხი.

მან ასევე აღნიშნა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე მოსმენილი იქნას ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის ანგარიში.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერმა არჩილ ჩიქოვანმა მიულოცა ისტორიული გადაწყვეტილება, რომელიც რამდენიმე დღის წინ მიიღეს. ქვეყანა ყოველთვის იყო ევროპის განუყოფელი ნაწილი. ქართველი ხალხი მუდამ იზი–არებდა ევროპულ ღირებულებსა და ფასეულობებს. დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან, ევროკავშირი მუდამ გვერდით ედგა და მხარს უჭერდა საქართველოსა და ქართველ ხალხს. სჯერა, რომ საქართველო მალე გახდება ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი, რადგან ეს არის საქართველოს ისტორიული არჩევანი და გადაწყვეტილება. ყველას კიდევ ერთხელ მიულოცა კანდიდატის სტატუსის მიღება.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის განმავლობაში ოფიციალური შეხვედრები გაიმართა: ევროკავშირის, საფრანგეთის, გერმანიის, ნიდერლანდების, დიდი ბრიტანეთის, ლატვიის, რუმინეთის, იაპონიის, ისრაელის, ბრაზილიის, არაბთა გაერთიანებული საემიროების, ყაზახეთის, ირანის, მონტენეგროსა და სომხეთის ელჩებთან და კონსულებთან. საქართველოში გაეროს მუდმივ კოორდინატორთან საქართველოში საბინე მახლთან, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) წარმომადგენელთან საქართველოში ღასან ხალილთან, ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის ინსტიტუტის (IRE) პრეზიდენტთან დოქტორ ფრანც შაუსბერგერთან, UNDPის სტამბოლის რეგიონულმენეჯერთან თინა სტოუმსთან, ვროკავშირის ელჩ პაველ ჰერჩინსკისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) წარმომადგენლებთან და ადგილობრივ სტარტაპერებთან, ისრაელის კულტურისა და სპორტის მინისტრ მახლუფ მიკი ზოჰართან და ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში ჰადას მეიცადთან, თურქეთის მთავარ ომბუდსმენ შერეფ მალქოჩთან, საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) წარმომადგენელ იესპერ მოლერთან და ევროპული ასოციაცია ადგილობრივი დემოკრატიისთვის (ALDA) გენერალურ მდივან ანტონელა ვალმორბიდასთან. შედგა ვიზიტი ბრიუსელში გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენლობის ოფისსა და სტრასბურგში, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და

რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის 44-ე პლენარულ სესიაზე დასწრების მიზნით.

2023 წელს ოთხ ქალაქთან გაფორმდა დამეგობრების მემორანდუმი:

• ლუგანო - შვეიცარია

• ბარი - მონტენეგრო

• სიანიანი - ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა

• კესტჰეი - უნგრეთი

საერთაშორისო აღიარება

პრესტიჟულმა ბრიტანულმა ონლაინ გამოცემა The Independent-მა ბათუმი ზაფხულის 10 საუკეთესო ტურისტულ მიმართულებას შორის დაასახელა. ბათუმმა World Travel Awards-ზე ევროპის სწრაფად მზარდი ტურისტული მიმართულების ჯილდო მოიპოვა

ბათუმს „ბავშვზე მორგებული ქალაქის“ კანდიდატის სტატუსი მიენიჭა. გაფორმდა მემორანდუმი USAID-ის ადგილობრივი მმართველობის პროგრამის მთავარ კონტრაქტორ Tetra Tech ARD-თან, რომლითაც განისაზღვრა სამოქმედო გეგმა მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესების, მოქალაქეთა ჩართულობის, საჭიროებების კვლევისა და განვითარების დოკუმენტების შემუშავების მიმართულებით. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) გაფორმდა მემორანდუმი ახალი პროექტის -,,მდგრადი ურბანული განვითარება საქართველოში" ფარგლებში.

მემორანდუმი ითვალისწინებს საპილოტე პროექტის განხორციელებას ურბანული ლაბორატორიის გზით, Mobility4Cities ფარგლებში მომზადებული „ძველი ბათუმის ფეხით გადაადგილების კონცეფციის“ დატესტვის მიზნით. GIZ-თან თანამშრომლობა გაგრძელდება კიდევ ერთი ახალი პროექტის Conect Georgia-ს ფარგლებში. პროექტი ითვალისწინებს ტრანსპორტის სფეროში გამოცდილი ექსპერტების მხარდაჭერას ტექნიკურ საკითხებში და საპილოტე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურული პროექტის დაფინანსებას.

გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (KfW) მხარდაჭერით ხორციელდება პროექტი „ენერგოეფექტური ღონისძიებები და ევროკავშირის ენერგოეფექტურ სტანდარტებთან დაახლოება საქართველოში“. პროექტის განხორციელების შედეგად ბათუმი ევროსტანდარტების შესაბამისი ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიებით აღჭურვილი საბავშვო ბაღების მქონე პირველი ქალაქი იქნება საქართველოში.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ნაციონალიზაციისა და პრიორიტეტიზაციის პროცესის ფარგლებში დამტკიცდა ბათუმის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების დოკუმენტი, რომელიც მოიცავს მდგრადი განვითარების სამ მიმართულებას: ეკონომიკურს, სოციალურსა და გარემოსდაცვითს.

ბათუმის მერია ჩაერთო USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამაში, რომელიც მიზნად ისახავს მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესებას, ადგილობრივი საზოგადოების გაძლიერებას.

„მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG) ფარგლებში, მუნიციპალური გარდაქმნის პორტფელის შექმნისა და დანერგვის მიზნით გაიმართა სტარტაპ ღონისძიებები:

• ბათუმის ტექნიკური პარკის პრეაქსელერაციის პროგრამის დემოდღე

• Co-working Friday - პრეაქსელერაციის დემო დღის მონაწილე სპიკერებთან შეხვედრა

• საქართველოს სტარტაპ სამიტი/სტარტაპების მსოფლიო ჩემპიონატის ეროვნული კონკურსი

• წარმატებული და ადგილობრივი სტარტაპერების შეხვედრა ფესტივალ ტურისტერის ფარგლებში

• ხორციელდება ახალგაზრდების, სტარტაპებით და ინოვაციებით დაინტერესებული პირების, ადგილობრივი სტარტაპების ჩართვა პორტფელზე მუშაობისას.

გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (KfW) მხარდაჭერით, ბათუმის წყალმომარაგებისა და წყალარინების მიმართულებით დაიწყო V ფაზის განხორციელება. პროექტის ღირებულება 80 მილიონ ევროს შეადგენს.

დაგეგმილია:

• ადლიის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის, ა და ბ სატუმბი სადგურების გაფართოება

• აეროპორტის, ინდუსტრიული და კახაბრის დასახლებების წყალარინების სისტემების მოწყობა

• ინჯალოს წყლის სამარაგო რეზერვუარის, წყალსადენის და სასმელი წყლის მკვებავი ხაზის მშენებლობა

• მეჯინისწყლის ჭაბურღილების წარმადობის გაზრდა

• ჩაქვისწყლის სათავე ნაგებობისა და ჩაქვის გადამცემი მაგისტრალური წყალსადენის რეაბილიტაცია

• ხელვაჩაურისა და აეროპორტის წყალმომარაგების ქსელის მოწყობა.

„ბათუმის წყალი“ ქალაქის ცენტრალური ნაწილისა და შემოერთებული ტერიტორიების მასშტაბით127 ათასამდე აბონენტს ემსახურება.

გასულ წელთან შედარებით „ბათუმის წყლის“ აბონენტთა რაოდენობა გაიზარდა 11%-ით.

წყალმომარაგების ახალქსელზე გადაერთო 8 196 ათასამდე აბონენტი. ტექ. პირობით ქსელზე ახალი დაერთება განხორციელდა 365 აბონენტთან. ინდივიდუალური აღრიცხვის კვანძები მოეწყო 695 აბონენტთან. გამრიცხველიანდა 86 ახალი საცხოვრებელი კორპუსი. ახალკორპუსში მოეწყო 7 136 მრიცხველი. ბათუმთან შემოერთებულტერიტორიებზე მიმდინარე წელს მოეწყო 13 338,50 მ. ახალი გამანაწილებელი ქსელი. ფერიის დასახლებაში შეიცვალა რეზერვუართან დამაკავშირებელი ქსელი და მოეწყო 260 მ. ახალი გამანაწილებელი ქსელი. სამომავლოდ იგეგმება 10 ათასამდე აბონენტის ახალ ქსელზე გადართვა.

სამრეწველო ზონის მიმდებარედ წყალარინების მაგისტრალური ქსელის მოწყობა და სატუმბი სადგურების მშენებლობა დასრულდა. პროექტი ე.წ. ოცნების ქალაქში მცხოვრები მოსახლეობისთვისაა გათვალისწინებული. სამუშაოების ღირებულება 5 მილიონ 800 ათას ლარს შეადგენს. 4257 გრძ.მ წყალარინების ახალი ქსელი მოეწყო 65 მისამართზე. მოეწყო 2190 გრძ.მ. ახალი სანიაღვრე ქსელი. 60 მისამართზე განხორციელდა ტექ. პირობითდაერთება. გაიწმინდა 75000 ერთეული სანიაღვრე ჭა. გაიწმინდა 125000 გრძ.მ ღია სანიაღვრე არხი და 51631 გრძ.მ სანიაღვრე მილები.

2022 წლიდან 2023 წლამდე ბათუმის ბიუჯეტი გაიზარდა 114 მილიონ 643 ათასი ლარით

საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს 2023 წლის ბიუჯეტი 160 011 200 ლარს შეადგენს. 2022 წლიდან 2023 წლამდე ბიუჯეტი გაიზარდა 41 მილიონ 823 ათას 200 ლარით

სამრეწველო ზონის მიმდებარედ 10-ამდე მთავარი და მეორეხარისხოვანი გზის მშენებლობა განხორციელდა. პროექტის ღირებულება - 13 მილიონ 549 ათასი ლარი. მიმდინარეობს მამია ვარშანიძისა და ხახულის ქუჩების კეთილმოწყობა. პროექტის ღირებულება - 30 მილიონ 999 ათას 929 ლარი. მიმდინარეობს გიორგი ლეონიძის, იმედაშვილისა და შავშეთის ქუჩების რეაბილიტაცია. სამივე პროექტის ღირებულება 20 მილიონ 825 ათას 613 ლარს შეადგენს. სრულდება მუნიციპალური დროებით ღამის თავშესაფრის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია.

ხელმისაწვდომი საცხოვრისის, ე.წ. იაფი სახლის პროგრამის მეორე ეტაპზე აშენდა 4 ხუთსართულიანი კორპუსი. ბინებით დაკმაყოფილდა 100 ოჯახი. პროგრამის ფარგლებში, ჯამში 180 ოჯახი დაკმაყოფილდა. პროექტის საერთო ღირებულება 13 მილიონამდე ლარს შეადგენს.

3000-ზე მეტი ოჯახისთვის უსაფრთხო საცხოვრებელი გარემო იქმნება. უახლოეს პერიოდში 1000-ზე მეტი ოჯახი ბინით დაკმაყოფილდება. ამ ეტაპზე, პროგრამაში მონაწილეობის მიზნით, ბათუმის მერიაში შემოსულია 450 განაცხადი. 207 სახლზე უკვე მომზადდა საექსპერტო დასკვნა. ავარიული სახლების მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის 100 მილიონი ლარი დაიხარჯება.

ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა მიმდინარეობს 9 მისამართზე: ს. ხიმშიაშვილის ქ. #94-96-ში, 26 მაისის ქ. #13-ში, კვინიტაძის ქ. #1,3,11-ში, ე.წ. შანხაის დასახლებაში (2 სახლი), ხინიკაძის ქ. #7-ში, მაიაკოვსკის ქ. #3–ისა და გრიშაშვილის ქ. #9-ში. სამშენებლო-გამაგრებითი სამუშაოები დასრულდა 6 მისამართზე, რითაც 500-ზე მეტი ოჯახისთვის შეიქმნა უსაფრთხო საცხოვრებელი გარემო.

გზების მშენებლობა და აღდგენა-რეაბილიტაცია განხორციელდა 209 ქუჩასა და მონაკვეთზე. ბეტონის საფარის დაგების სამუშაოები განხორციელდა და მიმდინარეობს 74 მისამართზე. კაპიტალურად შეკეთდა და რეაბილიტირდა ჯამში 247 712,35 კვ.მ ტერიტორია.

სანიაღვრე არხებისა და კომუნალური სისტემების მოწყობა განხორციელდა 30-ამდე მისამართზე.

სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები განხორციელდა 53 მისამართზე.

დასრულდა 3 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა შემდეგ მისამართებზე: ბაგრატიონის, ქათამაძისა და დაბა ჩაქვში მეზღვაურთა ქუჩებზე. საბავშვო ბაღების გამაგრება-ახლის მშენებლობა მიმდინარეობს 8 მისამართზე. გამაგრებითი სამუშაოები: ანდრონიკაშვილის, ტაბიძის, ვარშანიძის, მელიქიშვილის ქუჩები და თამარ მეფის გამზირი. ახლის მშენებლობა: ვაჟა-ფშაველას და ნანეიშვილის ქუჩები და აეროპორტის გზატკეცილი. 12 ბაღში კი, ენერგოეფექტურობის ევროპული სტანდარტები დაინერგება.

სპორტული მოედნებისა და საბავშვო ატრაქციონების მოწყობა-რეაბილიტაცია მიმდინარეობს და დასრულდა 164 მისამართზე.

ხიდებისა და ხიდბოგირების მოწყობის სამუშაოები დასრულდა და მიმდინარეობს 43 მისამართზე.

რეკრეაციული სივრცეების მოწყობა დასრულდა და მიმდინარეობს 13 მისამართზე. სკვერების მოწყობა დასრულდა: აღმაშენებლის #30, 32, 34, მირიან მეფის #13, კაკაბაძისა და ანწუხელიძის ქუჩების კვეთა, გორგილაძის N8, აკაკი წერეთლისა და კოტე აფხაზის ქუჩებზე. მიმდინარეობს: ბაგრატიონის ქუჩის გზაგამყოფ ზოლზე, ევროპის მოედანზე, თამარ მეფის გზატკეცილის #20-ში, სამების პირველჩიხსა და ალიოს ქუჩაზე.

დაირგო 2500 ხე-მცენარე. გამწვანდა 80 ქუჩა. განახლდა 20 სკვერი. სკვერებში, წრიულებსა და გზაგამყოფებში 1 მილიონი სეზონურად მოყვავილე ერთწლოვანი ყვავილი დაირგო. შეძენილი იქნა 3 ერთეული სპეცტექნიკა.

მრავალბინიან კორპუსებში 100-ზე მეტი ახალი ლიფტის მონტაჟი დასრულდა და მიმდინარეობს. სახურავები მოეწყო და რეაბილიტირდა 90-მდე მისამართზე. საცხოვრებელი სახლების სადარბაზოებში 60-ამდე კარის მონტაჟი სრულდება.

2023 წელს სრულად განახლდა ბათუმის მუნიციპალური ავტობუსების პარკი. შეძენილი იქნა 65 ერთეული ISUZU-ს მარკის 10 მეტრიანი ადაპტირებული ავტობუსი. ავტობუსებში დაინერგა გახმოვანების სისტემა. დაინერგა მგზავრობის საფასურის ნებისმიერი საბანკო ბარათით გადახდის სისტემა.

დამონტაჟდა დამატებით 85 ერთეული ელექტრო საინფორმაციო ტაბლო. ავტობუსის გაჩერებებზე დამონტაჟდა 10 ახალი მოსაცდელი. შეიქმნა შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ ვებგვერდი (www.batumitransport.ge) და პარკირების გადახდის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს პარკირების საფასურის მარტივად გადახდას. შეიქმნა მობილური აპლიკაცია, რომელიც ავტობუსის გადაადგილების ნახვისა და მარშრუტის დაგეგმვის საშუალებას იძლევა.

მოეწყო დამატებით 8 ახალი ველოტერმინალი და ჯამში 34 ველოტერმინალი ფუნქციონირებს. „შენი იდეა ბათუმს“ პროექტის ფარგლებში 11 ლოკაციაზე დამონტაჟდა ველოპარკირება კერძო ველოსიპედებისათვის, ხოლო 5 ლოკაციაზე დამონტაჟდა ველოსიპედის სარემონტო ტერმინალი. დღეისათვის ექსპლუატაციაშია 160 მუნიციპალური ველოსიპედი.

მუნიციპალური სერვისების სააგენტოს მიერ განხორციელდა: ქვაფენილიანი ქუჩების რეაბილიტაცია - 11700 მ$^2$. დაზიანებული ბორდიურების რეაბილიტაცია-მოწყობა - 580 გრძ.მ დაზიანებული ტროტუარის ფილების რეაბილიტაცია - 6750 მ$^2$ დაზიანებული ბოძკინტის რეაბილიტაცია და ახლის მონტაჟი - 745 ერთეული არაასფალტირებული ქუჩების მოხრეშვა-მოშანდაკება - 35915 მ$^2$ ახალი გზაგამყოფი დეკორატიული ღობეების მონტაჟი-რეაბილიტაცია - 784 ერთეული. რეაბილიტირდა 901 ერთეული საბაღე სკამი რეაბილიტირდა 258 ერთეული ფანჩატური 161 მისამართზე განხორციელდა წყალსაწრეტი მილებისა და წყალშემკრები ღარების შეკეთება-აღდგენა.

2023 წელს შეძენილია 2100 ერთეული ნაგავშემკრები კონტეინერი. ქალაქის მასშტაბით განთავსდა 55 ერთეული სეპარირების ურნა. შეძენილია 7 ერთეული სპეცტექნიკა და დანადგარი. დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებისთვის სრულად განახლდა სპეცფორმა.

სამშენებლო და უსაფრთხოების საჯარო ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოვლინდა სამშენებლო სამართალდარღვევის 655 ფაქტი. გამოცემულია 157 სააღსრულებლო ფურცელი. ექსპლუატაციაში მიღების მოთხოვნით შემოვიდა 78 განაცხადი. აღიკვეთა საზოგადოებრივი სივრცის უკანონო შეზღუდვის 1643 ფაქტი. პარკირებისა და ტრანსპორტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოვლინდა 52027 სამართალდარღვევა. ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოვლინდა 262 სამართალდარღვევის ფაქტი. 356 მიტოვებული ავტომობილი და უნებართვო კონსტრუქცია გატანილ იქნა ქალაქის ტერიტორიიდან. 180 ობიექტი ბიოდეგრადირებად პარკებთან დაკავშირებით გაფრთხილდა. 80-ამდე ობიექტზე გამოთავისუფლებულ იქნა უკანონოდ მითვისებული სახელმწიფო ტერიტორია.

სანიტარიული ნორმის დაცვის მიზნით მიმდინარე წელს გადამოწმდა შემდეგი ობიექტები: 91 სტომატოლოგიური დაწესებულება 36 სილამაზის სალონი 124 სასტუმრო კომპლექსი 24 საცურაო აუზი და სპა 29 კერძო და 32 საჯარო საბავშვო ბაღი 26 საჯარო და 15 კერძო სკოლა , 6 მუნიციპალური სასადილო.

ბათუმის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურმა 2023 წელს 30 პროგრამა და ქვეპროგრამა განახორციელა. ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია 100-მა სტუდენტმა მიიღო. ტბელაბუსერიძის სახელობის სტიპენდია კი - 18-მა სტუდენტმა. „ახალგაზრდების უცხოეთში სტაჟირების ხელშეწყობის" ფარგლებში დაფინანსდა 8 სტუდენტი. „კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერის“ ფარგლებში დაფინანსდა და განხორციელდა 15 ინიციატივა. „ხელოვანთა ხელშეწყობის“ ფარგლებში დაფინანსდა 6 ხელოვანის მონაწილეობა საერთაშორისო ღონისძიებებში. „საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერის ფარგლებში“ ჩატარდა 11 ფესტივალი. საერთაშორისო ტურნირებზე 6 ბათუმელი სპორტსმენის მონაწილეობა დაფინანსდა. ბათუმის კულტურის ცენტრის მიერ განხორციელდა 117 ღონისძიება.

ხელბურთის კლუბი ბათუმი - „შავი ზღვის ბიჭები“ საქართველოს ჩემპიონი და საქართველოს თასის მფლობელია. ბათუმელმა მოციგურავეებმა გაერთიანებული ემირატების დედაქალაქ აბუ-დაბიში, საერთაშორისო ტურნირზე ფიგურულ ციგურაობაში გამარჯვება მოიპოვეს. ფრენბურთის კლუბ „ბათუმის“ ქალთა და მამაკაცთა გუნდებმა საქართველოს ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავეს. რაგბის კლუბი „ბათუმი“ დიდი 10-ის ვიცე-ჩემპიონი გახდა. დინამო ბათუმი საქართველოს ჩემპიონი გახდა.

ბათუმის სპორტული ცენტრის ქალთა გუნდი „ბათუმი“ და ბათუმის ვაჟთა გუნდი „პორტუსი“ ქვიშის ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონები გახდნენ. ბათუმელი მოჭადრაკე კესარია მგელაძე ევროპის ჩემპიონი გახდა, ხოლო მარიამ ცეცხლაძემ ვიცე-ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ბათუმის სპორტული ცენტრის წყალბურთის გუნდი ბულგარეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე - „BURGAS CUP 2023“ ბრინჯაოს თასის მფლობელი გახდა.

ბათუმმა ევრო 2023-ის ფინალურ მატჩს უმასპინძლა. ბათუმის სტადიონმა მაიამში, FIABCI-ს ოსკარად წოდებულუძრავი ქონების მსოფლიო დაჯილდოებაზე საჯარო ინფრასტრუქტურის საერთაშორისო ჯილდო მოიპოვა.

სპორტული ცენტრის ქალთა ფეხბურთის გუნდმა 2023 წელს პირველი ადგილი მოიპოვა ფუტსალის ლიგაზე - „ზამთრის თასი 2023“ და მოიპოვა ოქროს თასი საპლაჟო ფეხბურთში. ქვიშის ჭიდაობაში მსოფლიო სერიის მეორე ეტაპზე ოქროს მფლობელი გახდა მამუკა კორძაია. 7 ოქროს, 5 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს სპორტული ცენტრის ნიჩბოსნებმა სეზონზე ჩატარებულ ღონისძიებებში.

ბათუმის ბოტანიკური ბაღი World Travel Awards-ის პრესტიჟული ჯილდოს მფლობელი გახდა და ევროპის წამყვანი ბოტანიკური ბაღის ნომინაციაში გაიმარჯვა. ვიზიტორთა რაოდენობა გასულწლებთან შედარებითგაზრდილია 20%-ით. ბაღის ტერიტორიაზე რეაბილიტირდა ორი სკვერი. დამატებით შეძენილია 3 ერთეული ელექტროავტობუსი, რომელთაგან ერთი განკუთვნილია სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის. ბაღის ტერიტორიაზე მოეწყო ზიპლაინი, რომლის სიგრძე 500 მეტრია. ზიპლაინი საუცხოო სილამაზეს სთავაზობს ვიზიტორებს და თავისუფალდაშვებას ახდენს ზღვისა და მთის ხედზე.

მოსახლეობასთან კომუნიკაცია ხორციელდება სამ ფორმატში • მერიის ადმინისტრაციაში • სერვისცენტრებში • ღია და ინდივიდუალი შეხვედრები, წლის განმავლობაში 3275 მოქალაქესთან გაიმართა შეხვედრა.

ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურმა 2023 წელს 29 მასშტაბური პროგრამა და ქვეპროგრამა განახორციელა პროგრამებით53 ათასმა ბენეფიციარმა ისარგებლა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ბიუჯეტი 2023 წელს 2 მილიონი ლარით გაიზარდა და შეადგენს 25 მილიონ 908 ათას ლარს. 2023 წელს დამატებით7 ახალი ღონისძიება ამოქმედდა:

- შაქრიანი დიაბეტის მეორე ტიპითდაავადებულპაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა
- საჯარო სკოლების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის ტრანსპორტითუზრუნველყოფის სუბსიდირება
- რეინტეგრირებული ოჯახებისათვის (საჭიროებიდან გამომდინარე) ბინის ქირითუზრუნველყოფა 300 ლარის ოდენობით
- ყოველთვიური დახმარება მარტოხელა მშობლებისთვის, რომლის არასრულწლოვანი შვილის მეორე მშობელი გარდაცვლილი ან უგზოუკვლოდ დაკარგულია.
- მაღალტექნოლოგიური ამბულატორიული კვლევების დაფინანსება
- გეგმური ოპერაციული მკურნალობის დაფინანსება
- ანგიოგრაფიის დაფინანსება.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი:**

**საკითხი 1.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამ-ტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი – ედგარ ნატარიძე)

**საკითხი 2**. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიცი-პალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი – ედგარ ნატარიძე)

**საკითხი 3**. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ.ბათუმში, მემედ აბაშიძის ქ. N29-ში მდებარე ფართის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი დავით კოპინაძე)

**საკითხი 4**. „მრავალშვილიანი ოჯახისათვის საცხოვრებელი ბინის საკუთრების უფლებით გადაცემის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი დავით კოპინაძე)

**საკითხი 5.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი დავით კოპინაძე)

**საკითხი 6.** „ქალაქ ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქუჩის ფიროსმანის ქუჩამდე გაგრძელებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ოქტომბრის №გ-15.15232973 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი დავით კოპინაძე)

**საკითხი 7.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრი-რებული, ქ. ბათუმში, იოსებ ნონეშვილის ქ. N1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკა-რგულების პროექტი;

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი დავით კოპინაძე)

**საკითხი 8.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრი-რებული, ქ. ბათუმში, რურუას ქ. N1-ის და N1ა-ს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგუ-ლების პროექტი;

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი დავით კოპინაძე

**საკითხი 9.** „ქ. ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (ქ.ბათუმი, გაგარინის ქუჩა - მოქ. ამირან თებიძე)

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვი-თარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - გიორგი წანაწყენიშვილი)

**საკითხი 10.** „ქ. ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (ქ.ბათუმი, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა - მოქ. მურად შავლიძე)

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვი-თარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - გიორგი წანაწყენიშვილი)

**საკითხი 11.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(ქ.ბათუმი, დასახლება ახალსოფელი, ავგიის ქუჩა N22ა, შპს ,,გონიო ლაქშერი რეზიდენსი“)

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვი-
თარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი – გიორგი
წანაწყენიშვილი)

**საკითხი 12.** „ქ. ბათუმში, ალის ქ. N51 და N53-ში არსებული მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (შპს „ტემპო ჰოლდინგი“)

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვი-
თარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი – გიორგი
წანაწყენიშვილი)

**საკითხი 13.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ.ბათუმი, კომახიძის, ს.ხიმშიაშვილის, პ.ჩაიკოვსკისა და ე.თაყაიშვილის ქუჩებს შორის 32 მიწის ნაკვეთი და დაურეგისტრირებელი 3 მიწის ნაკვეთი – შპს „მმ ჰოლდინგი“)

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვი-
თარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი –
გიორგი წანაწყენიშვილი)

**საკითხი 14.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ.ბათუმი, დასახლება გონიო – შპს ,,გარდენ ქეი’’ და შპს ,,გუმბათი რეზიდენსი“)

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვი-
თარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი –
გიორგი წანაწყენიშვილი)

**საკითხი 15.** „ქ. ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიაზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (ქ.ბათუმი, ფიროსმანის ქ. N13-15-17-17ა – შპს ,,ჩემი სახლი“)

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვი-
თარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი –
გიორგი წანაწყენიშვილი)

**საკითხი 16.** „მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტის განხორციელების მიზნით, საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ გათვალისწინებული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (ქ.ბათუმი, ანგისის პირველი შესახვევში 22; 22ა; 24; 26; 26ა, შპს „ბათ დეველოპმენტი“ – კოეფიციენტის გაზრდა)

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვი-
თარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი –
გიორგი წანაწყენიშვილი)

**საკითხი 17.** „ავარიული სახლის ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის გაზრდის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (ქ.ბათუმი, ანგისის I შესახვევი N73 – 75 – 75 – 75ბ/ჰელიმიშის N70, ავარიული სახლი გ.კვინიტაძის 28, შპს „ანგისა ბლუ სი კონსტრაქშენი" – კოეფიციენტის გაზრდა)

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვი-
თარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი –
გიორგი წანაწყენიშვილი)

**საკითხი 18.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) დამტკიცების შესახებ" ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის N 25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (ხდება არსებული ზონების კორექტირება)

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვი-
თარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი –
გიორგი წანაწყენიშვილი)

**საკითხი 19.** „თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე" თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ.ბათუმი, ადლიის დასახლებაში გზების ნაწილში ცვლილება – მოქ. ალექსანდრე გელაძე)

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვი-
თარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი – გიორგი
წანაწყენიშვილი)

**საკითხი 20.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ.ბათუმი, თ.მაქაცარიას 11, 13, 13ა და მიმდებარედ, აგრეთვე, შავშეთის 7, 7ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთები – შპს „სქაი ბათუმი")

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვი-
თარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი –
გიორგი წანაწყენიშვილი)

**საკითხი 21.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ.ბათუმი, ზ. გორგილაძის 113-ში და პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარედ, ფიროსმანის 10-ში, ფიროსმანის 8-ის მიმდებარედ

არსებულ მიწის ნაკვეთებზე - შპს ,,ცენტრალ სით ლაინი'' და შპს ,,ბლუ სი თაუერი")

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვი-თარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - გიორგი წანაწყენიშვილი)

**საკითხი 22.** „მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტის განხორციელების მიზნით, საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" გათვალისწინებული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (ქ.ბათუმი, გრიგოლ ელიავას 41ა - შპს ,,კაზა დი ბათუმი", კოეფიციენტის გაზრდა)

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვი-თარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - გიორგი წანაწყენიშვილი)

**საკითხი 23.** „ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. N131-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: N05.26.01.089 და N05.26.01.095) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (შპს „ბაგრატიონის რეზიდენსი")

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვი-თარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - გიორგი წანაწყენიშვილი)

**საკითხი 24.** „ქ. ბათუმში, კახაბრის ქ. N48-ში; ხახულის ქ. N50-ში; დასახლება ურეხში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 05.31.07.179; 05.31.07.208; 05.31.07.210) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (შპს „მაქრო")

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვი-თარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - გიორგი წანაწყენიშვილი)

**აკითხი 25**. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი ნუკრი დეკანაძე)

**საკითხი 26**. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მობილიზაციის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №24 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრე ბულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი ნუკრი დეკანაძე)

**საკითხი 27**. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში

უფლებამოსილი პირის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის წესისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 02 ნოემბრის №55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ა(ა)იპ - ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადმიანური რესურსების განყოფილების უფროსი ლაშა მამულაძე)

**საკითხი 28.** „ცენტრალურ პარკში ანრი ტაბალუას პატივსაცემად ფუნქცი-ონალური სკამისა და მემორიალური ობიექტის (მოლბერტის) განთავსების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების კულტურის ტურიზმისა და სპორტის საკითხტა კომისიის თავმჯდომარე – ლევან ცხოიძე)

**საკითხი 29.** „ქალაქ ბათუმში რუსთაველის ქ. N53ა-ში მდებარე სკვერში არჩილ აბაშიძის მემორიალური დაფის სადგამით განთავსების თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების კულტურის ტურიზმისა და სპორტის საკითხტა კომისიის თავმჯდომარე – ლევან ცხოიძე)

**საკითხი 30.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი – ირაკლი თავართქილაძე)

**საკითხი 31.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირე-ბული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი – ირაკლი თავართქილაძე)

საკრებულოს თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 31

მომხრე -19
კენჭისყრისშედეგები: წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა -12 (ნ.ნაცარაშვილი, ნ.ფუტკარაძე, ნ.ლუმბაძე, მ.ქობულაძე, ი.ძიძიგური, თ.კავაზაშვილი, რ.ხარაზი, ქ.ლოსტაკანიძე, ი.ჯინჭარაძე, ე.ზარია, ა.გვიანიძე, ვ.დარჩია)

საკრებულოს წევრებმა დამსწრეთ და საქართველოს მოქალაქეებს მიულოცეს ევროინტეგრაციისკენ გადადგმული ნაბიჯი. საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადასასვლელად კანდიდატის სტატუსის მიღებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება და საქართველო აკეთებს ყველაფერს, რათა გაგრძელდეს შეუფერხებელი წინსვლა ევროპისკენ.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ – ნატალია ზოიძემ აღნიშნა, რომ ევროინტეგრაციის გზა ძალიან მნიშვნელოვანია. იმ ღირებულებების და ფასეულობების გამზიარებლები არიან, რითაც ყოველთვის იხიბლებოდნენ. ეს არის უდიდესი წარმატება. ხელისუფლების მხრიდან დიდი ძალისხმევა ჩაიდო, მეტი ევროპა ნიშნავს მეტ კეთილდღეობას.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ – ზურაბ ნაკაიძემ მიულოცა საქართველოს წარმატებული ნაბიჯი, მადლობა გადაუხადა ყველას ვინ ამ საკითხზე მუშაობდა. მან ზვიად გამსახურდიას სიტყვები მოიშველია: „ის, ვინც ''გაინგლისელდება'', ''გაგერმანელდება'', ''გაფრანგდება'', ''გარუსდება'', ''გაამერიკელდება'', ვერასოდეს გახდება ინგლისელი, გერმანელი, ფრანგი, რუსი, ან ამერიკელი და ქართველობასაც დაჰკარგავს. და თუ ქართველებად დავრჩებით და თანაც, ვეზიარებით ამ ერების კულტურებს, გავაფართოვებთ და გავამდიდრებთ ჩვენს სამყაროს, გავხდებით ნამდვილი მსოფლიო მოქალაქენი. ევროპული ინტეგრაციაც ასე უნდა გავიგოთ და არა როგორც ეროვნული ინდივიდუალობების წაშლა და გათქვეფა...“

საკრებულოს წევრმა, ილია ჯინჭარაძემ მიულოცა კანდიდატის სტატუსის მიღება და დამდეგი ახალი წელი. საახალწლო სამზადისის დროს შეიმჩნევა ქალაქის ცენტრალური ქუჩების მოწყობა და არა გარეუბნები. ორი წლის განმავლობაში ვერ მოგვარდა დაპარკინგებული „ტრაილერების“ საკითხი, პარკინგი და ბევრი რამ. გახშირებული ავარიები ხდება გარეუბნებში ერთი და იგივე ლოკაციაზე, სადაც გასაკეთებელია ბარიერები.

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ – მამუკა ქობულაძემ მიულოცა დამსწრეებს დამდეგი ახალი წელი და კანდიდატის სტატუსი. ასევე აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი საუბრობდა ბევრ და მნიშვნელოვან მიღწევებზე. მან მერს დაუდასტურა მისადმი პატივისცემა, იმიტომ რომ 2008 წლიდან ყოველთვის იდგა სადარაჯოზე, მას შეუძლია ერთგულება და პატრიოტიზმი. საჯარო სამსახურშიც დარწმუნებულია, რომ მოემსახურება ქვეყანას და მთლიანად საქართველოს.

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარემ – ნოდარ ლუმბაძემ მიულოცა დღესასწაულები. ასევე აღნიშნა, რომ $K^2$ კოეფიციენტის გაზრდას არ მიესალმება, ამიტომ საკრებულოს სხდომაზე ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დარჩენას აზრი არ აქვს და ასეთ სპექტაკლში მონაწილეობის მიღებას არ აპირებენ.

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრებმა – რ.ხარაზმა, ი.ძიძიგურმა, ნ.ლუმბაძემ, ნ.ნაცარაშვილმა,

ნ.ფუტკარაძემ, მ.ქობულაძემ, თ.კავაზაშვილმა, ქ.ლასტკანიძემ, ი.ჯინჭარაძემ და ე.ზარიამ დატოვა სხდომათა დარბაზი.

საკრებულოს წევრმა, ნინო ცხვარაძემ აღნიშნა, რომ დღეს საზეიმო განწყობაა. 14 დეკემბერი ისტორიული დღეა ქვეყნისთვის, საქართველოსთვის. საქართველომ ღირსეულად მიიღო კანდიდატის სტატუსი. რაც შეეხება წარმოდგენილ ბიუჯეტს, საკმაოდ გაზრდილია, რომელიც მოხმარდება მოსახლეობას.

საკრებულოს წევრმა, რიჩარდ სირაბიძემ მადლობა გადაუხადა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს, სამსახურებს გაწეული საქმიანობისთვის.

საკრებულოს წევრმა, ნერიმან ცინცაძემ მიულოცა დღესასწაულები-კანდიდატის სტატუსი და ნიკოლოზობა. ასევე სასიხარულოა დღევანდელი ბიუჯე-ტის დამტკიცება, რადგან ძალიან ბევრი ღონიძიებაა გაწერილი.

საკრებულოს წევრმა, აკაკი გვიანიძემ მიულოცა და აღნიშნა, რომ ახალი წელი ახალი იმედია და მას აქვს განსხვავებული უკეთესი წლის იმედი. ასევე მიულოცა კანდიდატის სტატუსი, ეს არის ქართველი ხალხის და თაობების დამსახურება. ნამდვილად იმსახურებდა საქართველო სტატუსს. თუმცა ერთ-ერთი რეკომენდაციაა შესასრულებელი-დეპოლარიზაცია. საკრებულო ერთ-ერთი პოლარიზირებული წარმომადგენლობითი ორგანოა, იმიტომ რომ უკვე ორი წელი მიიწურა მანდატის ვადის და ოპოზიციის არცერთი ინიციატივა არ იქნა გათვალისწინებული. იმედი აქვს, რომ ასეთი მიდგომა შეიცვლება 2024 წელს. რაც შეეხება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშს, დღის წესრიგით არ იყო გაწერილი და წინასწარ არ იყო ცნობილი. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშს, როგორც მსმენელი ვერ შეაფასებს. ასევე დღეს მოუმზადებელია საკრებულოს სხდომაზე მოსული, რადგან 11 დამატებით შემოსულ საკითხს ვერ გაეცნო დეტალურად. დღეს ბიუჯეტში არ არის პოლიტიკური პარტიების კონსენსუსის შედეგი, არ არის ასახული პოლიტიკური პარტიების რეკომენდაციები, რაც ძალიან ცუდია.

საკრებულოს წევრმა, ვაჟა დარჩიამ მიულოცა სრულად საქართველოს კანდიდატის სტატუსი და აღნიშნა, რომ მერის ანგარიში მოსასმენად კარგია, თუმცა რეალურად ყველა საკითხზე პრობლემებია მოსაგვარებელი.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მომხსენებელი იქნება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი არჩილ ჩიქოვანი.

**მოისმინეს:** **საკითხი 1.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიცი-პალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი არჩილ ჩიქოვანი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტი მომზადებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილო-ბრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16, 24-ე, 91-ე მუხლების და „საქარ-თველოს საბიუჯეტო კოდექსის" 77-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად და

განსაზღვრავს 2024 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს; ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონო-მიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

პროექტით ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლისათვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრუ-ლების მიზნით მისაღები შემოსულობების და გასაწევი გადასახდელების ნუსხის დამტკიცება საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 364,500.0 ათას ლარს. გადასახადების საპრო-გნოზო მაჩვენებლები შეადგენს 106,217.2 ათას ლარს. საგადასახადო შემოსა-ვლების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 61-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების შესაბამისად. მათ შორის: ქონების გადასახადი - 44,000.0 ათასი ლარი, რომელიც 2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 10%-ით (4,000.0 ათასი ლარით). დამატებული ღირებულების გადასახადები - 62,217.2 ათასი ლარი. 2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით იგი გაზრდილია 10.7%-ით (6,010.4 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე და საპროგნოზო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტით;

ფინანსური დახმარების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 177,231.5 ათასი ლარით. მათ შორის: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მისაღები - კაპიტალური ტრანსფერი - 71,470.0 ათასი ლარი და სპე-ციალური ტრანსფერი - 105,530.0 ათასი ლარი. რაც მიმდინარე წლის ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 41,000.0 ათასი ლარით. გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებიდან - 231.5 ათასი ლარით. სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 2024 წლისთვის განისაზღვრა 73,051.3 ათასი ლარის ოდენობით. საკუთრებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 4,951.3 ათასი ლარის ოდენობით. აქედან: - პროცენტების სახით დაგეგმილია 2,700.0 ათასი ლარის მობილიზება; - რენტის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2,251.3 ათასი ლარის ოდენობით. საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 59,100.0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის: - სანებართვო მოსაკრებლები - 1,000.0 ათასი ლარის ოდენობით. - სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 52,800.0 ათასი ლარის ოდენობით. - მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 5,300.0 ათასი ლარის ოდენობით. ჯარიმებით, სანქციებითა და საურავებით მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 7,900.0 ათასი ლარის ოდენობით. შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1,100.0 ათასი ლარის ოდენობით.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 382,000.0 ათას ლარს. ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები გადანა-წილდა შემდეგნაირად: ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 58.7% - 224,289.1 ათასი ლარი მოდის ხარჯებზე, მათ შორის: - შრომის ანაზღაურება - 43,882.3 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის

ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში შრომის ანაზღაურების მუხლით გაზრდილია, რაც განპირობებულია 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნით (დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 1 330 ლარის ოდენობით ნაცვლად 1210 ლარისა) და ასევე ახალი საბავშვო ბაღების გახსნასთან დაკავშირებით თანამშრომლების რაოდენობის ზრდით. - საქონელი და მომსახურება - 75,201.2 ათასი ლარი; - პროცენტი - 4,892.8 ათასი ლარი; - გრანტები - 15.0 ათასი ლარი; - სუბსიდიები - 20,304.8 ათასი ლარი; - სოციალური უზრუნველყოფა - 18,004.1 ათასი ლარი; - სხვა ხარჯები - 61,988.9 ათასი ლარი; მთლიანი ასიგნებების 31.6% - 120,753.8 ათასი ლარი მოდის არაფინანსური აქტივების ზრდაზე. ადგილობრივი ბიუჯეტიდან ვალდებულებების (სესხის ძირი თანხის) დაფარვას 36,957.1 ათასი ლარი მოხმარდება, რაც მთლიანი ასიგნებების 9.7%-ია.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება - 55,644.5 ათასი ლარი, მათ შორის: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო - 3,007.9 ათასი ლარი; ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია - 8,524.7 ათასი ლარი; სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა - 41,849.9 ათასი ლარი, რომელიც მიიმართება გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW, I-II-III-IV-V ფაზა) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხის მომსახურებაზე. სარეზერვო ფონდი - 2,000.0 ათასი ლარი, რომლის ფარგლებშიც თანხის განკარგვა განხორციელდება საკრებულოს მიერ დამტკიცებული წესის (ჯანმრთელობის, სოციალური, სტიქიური მოვლე–ნების დროს დაზარალებულთა დახმარების და ასევე სხვა გადაუდებელი ღონის–ძიებების დაფინანსება) მიხედვით; წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი - 150.0 ათასი ლარი;

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება - 168,341.3 ათასი ლარი, მათ შორის: საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 52,056.2 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს შემდეგ სამუშაოებს: პროგრამული კოდი დასახელება 2024 წლის გეგმა (ათასი ლარი) 02 01 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება 52,056.2 გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა 3,190.4 საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა 40,580.3 გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა 7,303.5 საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ღონისძიებები 982.0 ასფალტირებული და რკინა-ბეტონის საფარის ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები; ვიდეო-სათვალთვალო კამერების მოვლა-პატრონობა; არაასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები; საგზაო ინფრასტრუქტურის (ტროტუარი, ბორდიური, ქვაფენილი, ბოძკინტი) მოვლა-შენახვის ღონისძიებები; დეკორა–ტიული გზაგამყოფი ღობეების მოვლა-პატრონობა; გარე განათების წერტების მოვლა-ექსპლოატაცია; გარე განათების სისტემის მიერ მოხმარებული ელექტრო–ენერგიის გადასახადი; ქ. ბათუმში, ქუჩების გარე განათების კაპიტალური სამუშა–ოები; ქ. ბათუმში, ევგენი მიქელაძისა და მ. ჯავახიშვილის ქუჩების კეთილ-მოწყობა; ქ. ბათუმში, გიორგი შარვაშიძის ქუჩის კეთილმოწყობა; ქ. ბათუმში, მაქაცარიას ქუჩის კეთილმოწყობა; ქ. ბათუმში, გიორგი ლეონიძის ქუჩის კეთილმოწყობა; ქ. ბათუმში, ალ. სულაბერიძისა და გ. ბრწყინვალეს ქუჩების კვეთიდან ალ. პუშკინის ქუჩამდე, ალ. პუშკინის ქუჩიდან იმედაშვილის ქუჩამდე და იმედაშვილის ქუჩა ბაქოს ქუჩამდე გზის რებილიტაცია; ქ. ბათუმში, შავშეთის ქუჩის რეაბილიტაცია პეტრე ბაგრატიონის ქუჩიდან ბაქოს ქუჩამდე; ქ. ბათუმში, წმ. ნინოს ქუჩის

კეთილმოწყობა; ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძის და ხახულის ქუჩების (ალი სულაბერიძის და მ. ვარშანიძის ქუჩების კვეთიდან ფრ. ხალვაშის გამზირამდე) კეთილმოწყობა; ქ. ბათუმში ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩის რეაბილიტაცია; ქ. ბათუმში, ქსენია ბახტაძის ქ. N8-ის მიმდებარედ ხიდის მო-წყობა; სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები (2023-2024წ.წ..). ქ. ბათუმში, ცოტნე დადიანის ქუჩის კეთილმოწყობა; ქ. ბათუმში, გო-ნიოს ყოფილი მეურნეობის ტერიტორიაზე გამავალი საავტომობილო გზის კეთილმოწყობა; ქ. ბათუმში, შალვა ნუცუბიძის ქუჩის კეთილმოწყობა; ქ. ბათუ-მში, ფრიდონ ხალვაშის გამზირიდან სიონის ქ. N10ბ-მდე ქუჩის კეთილმოწყობა; ქ.ბათუმში, წმინდა თევდორე აჭარელის ქუჩის კეთილმოწყობა; ბათუმგორის ქუჩის კეთილმოწყობა; ნიკო მუსხელიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია; ქ. ბათუმში, ბაღის ქ. N15-ის მიმდებარედ მონაკვეთის კეთილმოწყობა; ქ. ბათუმში, ბაღის ქ. N15-ის მიმდებარედ ჩიხების კეთილმოწყობა; ქ. ბათუმში, აკაკი შანიძის ქუჩაზე ე.წ. აშტას ხიდის მოწყობა; ქ. ბათუმში, თამარ მეფის გამზირი №61 ბ-ს მიმდებარედ (მწვანე კონცხი) ხიდის მოწყობა; ქ. ბათუმში, თბილისის ქუჩა №100-102-ის მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა; ქ. ბათუმში, მეფე მირიანის III ჩიხი №8-ის მიმდებარედ ხი-დბოგირის მოწყობა; ქ. ბათუმში, თოდოგაურის დასახლება №53-55-ის მიმ-დებარედ ხიდბოგირის მოწყობა; ქ. ბათუმში, ზედაღელის ქუჩა N3ბ-ს მიმდე-ბარედ ხიდის მოწყობა; ქ. ბათუმში, თოდოგაურის დასახლება N28-ს მიმდებარედ ხიდის მოწყობა; ქ. ბათუმში, მახვილაურის დასახლება N11-ს მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა; თამარ მეფის გამზირზე მახინჯაურის ცენტრის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია; სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის (საგზაო ინფრასტრუქტურა) სალიკვიდაციო სამუშაოები (98 მისამართი); ქუჩების კაპიტალური რეაბილიტაციისა და მშენებლობის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა; სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება - 30,219.5 ათასი ლარი, კერძოდ ფინანსდება: პროგრამული კოდი დასახელება 2024 წლის გეგმა (ათასი ლარი) 02 02 სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება 30,219.5 მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება 30,219.5 შპს "ბათუმის ავტოტრანსპორტი"-ს სუბსიდირება (საოპერაციო დეფიციტის დაფარვა). შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტისათვის" მუნიციპალური მიკროავტობისის და ავტობუსების შეძენის თანადაფინანსება საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება - 24,988.9 ათასი ლარი, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: პროგრამული კოდი დასახელება 2024 წლის გეგმა (ათასი ლარი) 02 03 საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება 24,988.9 წყლის სისტემების რეაბილიტაცია 2,864.3 კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია 9,000.0 ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება 4,132.8 სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა 8,991.8 ქ. ბათუმში, კახაბრის დასახლებაში სასმელის წყლის სისტემის და 300 კბ.მ. სამარაგო-საწნეო რეზერვუარის მოწყობა, მახინჯაურის დასახლების (თამარ მეფის გამზირის III შესახვევის №32-დან №50-მდე; თამარ მეფის გამზირის I შესახვევის №15-დან №37-მდე; მარკოზ აჭარელის III შესახვევის №38-დან №46-მდე) დასახლებაში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა; სარფის, კვარიათის, გონიოს, ახალსოფლის წყალარინების ქსელის (გრავიტაციული და საწნეო მილების) და წყალარინების გადმქაჩი სადგურების, რეაბილიტაცია/მშენებლობა; მამია ვარშანიძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე საკანალიზაციო საწნეო ხაზის, გადმქაჩი სადგურების და

გრავიტაციული ხაზის მოწყობა; ბენზეს სატუმბო სადგურის ელევატორებისა და შემოდინების ჩამკეტების რეაბილიტაცია/-მშენებლობა.

სანიაღვრე ქსელების მიმდინარე მოვლა-ექსპლუატაცია; სანიაღვრე ჭის სახურავების შეძენა; მამია ვარშანიძის ქუჩიდან ანა კალანდაძის ქუჩამდე არსებული სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია; "გეზი"-ს მიმდებარე ტერიტორიაზე სანიაღვრე არხის მოწყობა; ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის პირველი შესახვევიდან კახაბრის ქუჩამდე დაზიანებული სანიაღვრე არხის აღდგენა; ქ. ბათუმში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქ. N68-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია; ქ.ბათუმში, ანგისის პირველი შესახვევი N41-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა; ქ. ბათუმში, იური გაგარინის ქ. N46-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია; ქ. ბათუმში, ზედა ღელის დასახლება N21-თან სტიქიის შედეგად დაზიანებული სანიაღვრე არხის აღდგენა; ზედა ღელის მე-2 შესახვევი №20-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა; თევდორე მღვდლის ქ.№10-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა; ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძის ქ.N1-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია; თამარ მეფის გამზირი N63-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა; ქ. ბათუმში, ბაქოს ქ. N37-ის მიმდებარედ (თევზის ბაზრის მიმდებარე ტერიტორია) სანიაღვრე არხის მოწყობა; სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის (სანიაღვრე სისტემები) სალიკვიდაციო სამუშაოები (9 მისამართი); ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის მე-5 ფაზის სამუშაოებთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება და მოსახლეობისათვის წყალმომარაგების მომსა–ხურების გაუმჯობესება. წყლის სისტემების გამართული მუშაობის უზრუნვე–ლყოფა.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი - 46,703.5 ათასი ლარი, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: პროგრამული კოდი დასახელება 2024 წლის გეგმა (ათასი ლარი) 02 04 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბი–ლიტაცია, დემონტაჟი 47,240.6 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება 12,366.0 საცხოვრებელი სახლების მშენებლობა 34,874.6 მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სახურავები რეაბილიტაცია; მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ლიფტების რეა–ბილიტაცია; მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოების კეთილმო–წყობისა და კომუნალური სისტემის მოწესრიგება; ქალაქში არსებულ სახლებზე დაზიანებული ფასადების რეაბილიტაცია; მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობა-რეაბილიტაცია; ქ. ბათუმში ე.წ. შანხაის და–სახლებაში სოციალური სახლის მშენებლობა; ავარიული სახლების დემონტაჟი- მშენებლობა, გამაგრება-რეაბილიტაცია; ქ. ბათუმში, სოციალური სახლის მშენე–ბლობა.

მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა - 998,7 ათასი ლარი, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა. ინფრასტრუ–ქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა - 10,076.1 ათასი ლარი, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: პროგრამული კოდი დასახელება 2024 წლის გეგმა (ათასი ლარი) 02 06 ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა 10,076.1 ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო 2,795.0 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, კვლევა და ექსპერტიზა 3,381.1

საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა 3,600.0 საქალაქო მეურნეობის მოვლა-პატრონობა, რეაბილიტაცია, დაგეგმვა, მოწყობა და განვითარება, მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების კოორდინაცია. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, კვლევა და ექსპერტიზა; საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა. ქალაქის კეთილმოწყობა - 2,761.3 ათასი ლარი, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: პროგრამული კოდი დასახელება 2024 წლის გეგმა (ათასი ლარი) 02 07 ქალაქის კეთილმოწყობა 2,761.3 ქალაქის გაფორმების ღონისძიებები 1,230.8 ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა 1,530.5 საშობაო-საახალწლო დღესასწაულისათვის ქალაქის გაფორმება; წლის განმავლობაში ქალაქის გაფორმების ღონისძიებები; ბიუსტების, ძეგლების და ქანდაკებების მოვლა-დასუფთავება; ქუჩის მანიშნებლების დამზადება-მონტაჟი. III. ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება - 48,360.2 ათასი ლარი; დაფინანსდება შემდეგი ქვეპროგრამები, კერძოდ: პროგრამული კოდი დასახელება 2024 წლის გეგმა (ათასი ლარი) 03 00 ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება 48,360.2 ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა 18,638.7 პარკების, სკვერებისა და ტყეების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა 24,232.8 ქალაქის გამწვანების ღონისძიებები 5,488.7 ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა; ქ. ბათუმში, ჩაქვის დასახლებაში სარეკრეაციო სივრცის და მრავალფუნქციური ინფრასტრუქტურის მოწყობა (პროექტირება/მშენებლობა); ქალაქ ბათუმში, პეტრე ბაგრატიონის ქუჩაზე გზაგამყოფსივრცეში სკვერის მოწყობა (ს/კ 05.27.40.006) (ს/კ 05.27.41.004) (ს/კ 05.26.04.024); ქ. ბათუმი, სამების 1 ჩიხი, N3-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია, (2023-2024 წწ.); ქ. ბათუმში ხახულის მე-2 შესახვევი N67-ის მიმდებარედსკვერის მოწყობა; ქ. ბათუმი, მამია გოგოლიშვილის ქუჩა N45-ის მიმდებარედ (ს/კ 05.33.22.309) სკვერის მოწყობა; ქ. ბათუმი, ა. აბაშიძის N22 (ს/კ 05.26.02.109)-ში სკვერის მოწყობა; ქ. ბათუმი, მელიქიშვილის III შესახვევი N21 (ს/კ 05.26.27.013)-ში სკვერის მოწყობა; ქ. ბათუმი, მწვანე კონცხის დასახლება (ს/კ 05.34.28.035)-ში სკვერის მოწყობა; ქ. ბათუმი, ი. ჯავახიშვილის ქუჩა N4ა-ს (ს/კ 05.24.08.010) მიმდებარედსკვერის მოწყობა; ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N14ა-ს მიმდებარედ (ს/კ 05.32.11.691) სკვერის მოწყობა; ქ. ბათუმი, ტბელაბუსერიძის ქუჩა N21ა-ს მიმდებარედ (ს/კ 05.24.08.145) სკვერის მოწყობა; ქ.ბათუმი, ტბელაბუსერიძის ქუჩა N18-ის მიმდებარედ (ს/კ 05.27.07.010) სკვერის მოწყობა; ქ. ბათუმი, გალაქტიონ ტაბიძის N15/17-ის მიმდებარედ (ს/კ 05.25.10.044)/(ს/კ 05.25.10.037) სკვერის მოწყობა; ქ. ბათუმი, გენერალასლან აბაშიძის ქუჩა N49-ის მიმდებარედ (ს/კ 05.31.01.908) სკვერის მოწყობა; ქ. ბათუმი, იოსებ გრიშაშვილის ქუჩა N17-ის (სკ 05.30.29.023) მიმდებარედ სკვერის მოწყობა; ქალაქი ბათუმი, დ. აღმაშენებლის ქუჩა N28-ის მიმდებარედ (ს/კ 05.25.09.039) /(ს/კ 05.25.09.035)/(ს/კ 05.25.09.040) სკვერის მოწყობა; ქალაქი ბათუმი, ძმები ნობელების ქუჩა N18-ის მიმდებარედ (05.30.15.121) სკვერის მოწყობა; ქ.ბათუმი, გალაქტიონ ტაბიძის ქუჩა N1-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია; ქ.ბათუმში, ზღვისპირა ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთზე ს/კ 05.23.01.010 ,,შენი იდეა ბათუმის" ფარგლებში (გამარჯვებული იდეა N20209) „ჩვენი ბათუმელი ცუგუნები"-სათვის სივრცის ე.წ. სავარჯიშო/გასართობი მოედნის მოწყობა; ქ, ბათუმში, ხალვაშის გამზირი N374-ის მიმდებარედ არსებულნაძვნარში სკვერის მოწყობა ქ, ბათუმში, ძმები ნობელების ქ. N41-

ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა; შენი იდეა ბათუმის ფარგლებში - „საქანელა ყველას“-თვის შერჩეული პროექტების დაფინანსება (მ.ლერმონტოვის ქ. N96-ის მიმდებარედ სკვერში, ინასარიძის ქ. N3-ის მიმდებარედ სკვერში, ბაქოს ქუჩა N74-ის მიმდებარედ სკვერში, თამარ მეფის გამზირზე არსებულ სკვერში, შინდისის სკვერში); ადაპტირებული ბათუმი, ((ქ.ბათუმის ტერიტორიაზე შშმ პირთათვის გათვალისწინებული სკამების განთავსება) მონაწილეობითი ბიუჯეტის პროექტი - შენი იდეა ბათუმის ფარგლებში შერჩეული პროექტის დაფინანსება); ქ. ბათუმში, ახალ ბულვარში, სტიქიის შედეგად დაზიანებული სანაპირო ზოლის აღდგენის სამუშაოები; ქალაქის გამწვანების მიმდინარე ღონისძიებები; სანერგე-სასათბურე მეურნეობის მოვლა-ექსპლუატაცია; ხე-მცენარეების შეძენა-დარგვა; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს - 17,500.0 ათას ლარს, რაც 2023 წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებთან მიმართებაში გადაჭარბებით მიღებული ფინანსური სახსრებია.

**აზრი გამოთქვეს:**

საკრებულოს წევრმა, ვაჟა დარჩიამ აღნიშნა, რომ უსი-ნათლოთა ბილიკები სამწუხაროდ ამ ქალაქში არის ფასადური, იმიტომ, რომ ველობილიკის გვერდით არის ერთი ზოლი, სადაც უსინათლო ადამიანს თავისუფლად დაეჯახოს ქოლო, ველოსიპედი და ა.შ. ქალაქი არ არის ადაპტირებული, როგორც სასურველია.

საკრებულოს წევრი, აკაკი გვიანიძე ცვლილებებს მიესალმება, მაგრამ ის სთავაზობს პასუხისმგებლობას, თუ პირობაზე თანხმობს მიიღებს. კერძოდ: ძველ ბათუმში, ჭაჭის კოშკის გვერდით სპორტული მოედნის განთავსება და სამუშაო ჯგუფის შექმნა საცობების განტვირთვის მიზნით ახალი ქუჩების დაპროექტებაზე. ამ საკითხების შესრულებაზე თანხმობის მიცემის შემდეგ აღნიშნულ პროექტს მხარს დაუჭერს.

საკრებულოს წევრმა – ნატალია ძიძიგურმა განაცხადა, რომ საკრებულოს წევრზე ხალხის მიერ მინიჭებული მანდატი არის წლის ბიუჯეტის დამტკიცება. ბიუჯეტის ზრდა დიდი პასუხისმგებლობაა და აღნიშნულ საკითხს მხარს დაუჭერს.

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარემ თენგიზ აფხაზავამ ფრაქციის სახელით გააკეთა განცხადება, რომ უპრეცენდენტო მაჩვენებლით 382 მილიონი ლარით მიიღება ბიუჯეტი და დარწმუნებულია შემდეგ კორექტირებისას კიდევ უფრო გაიზრდება. ქალაქის ბიუჯეტი ყველა გამოწვევებს ვერ გაუმკლავდება, მაგრამ თანდათანობით ყველაფერი გაკეთდება. ფრაქციის მიერ გაკეთებული შენიშვნები 90% გათვალისწინებულია. მადლობა გადაუხადა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს და მერიის სამსახუ-რებს.

საკრებულოს წევრების მიერ დასმულ საკითხებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერმა გასცა პასუხები და აღნიშნა, რომ ახალი ქუჩების გაყვანაა დაგეგმილი, ბევრი პროექტი მიმდინარეობს, სატრანსპორტო სისტემისთვის მიღებული აქვთ 14 მილიონიანი გრანტი. ასევე ცენტრალური პარკიდან მალე გადავა ზო-ოპარკი და იმ ტერიტორიაზე არავითარი კორპუსები არ აშენდება.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 19
წინააღმდეგი – 0
არ მიიღო მონაწილეობა – 2(ა. გვიანიძე, ვ.დარჩია)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი** 2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი
(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი – ელდარ ნატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტი ითვალისწინებს საქარ-თველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ხელფასების 10%-იან ზრდას; ქალაქ ბათუ-მის მუნიციპალიტეტის მერიის მობილიზაციის, სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახურის გაუქმების გამო, სამსახურის საშტატო ერთეულის ამოღებას. ხარჯები გათვალისწინებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტით.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი, დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 20
ა. გვიანიძე

არ ესწრებოდა: 1

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 19
წინააღმდეგი – 0
არ მიიღო მონაწილეობა –1(ვ. დარჩია)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**

**სხდომის თავმჯდომარემ – რამაზ ჯინჭარაძემ გამოაცხადა შესვენება, ერთი საათით.**
**სხდომა განახლდა 14.30 საათი.**

**მოისმინეს:** **საკითხი 3.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუ-თრებაში არსებული, ქ. ბათუმში, მემედ აბაშიძის ქ. N29-ში მდებარე ფართის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუ-მის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პრო-ექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2023 წლის 27 ნოემბრის N7240/02 (N07-1423331360-14) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ,,სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუ-ბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზი-კური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის" 2023 წლის 20 ოქტომბრის N36 საოქმო გადაწყვეტილების თანახმად, განხილულ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, სახელმწიფო, მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრი-რებული და ფიზიკური პირების ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართების, საკუთრებაში გადაცემაზე რეკომენდაციის გაწევის საკითხი, მათ შორის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, მემედ აბაშიძის ქ. N29-ში მდებარე შენობა-ნაგებობების პირველ სართულზე არსებული, მოქალაქეების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული 53,20 კვ.მ ფართის (ს/კ05.02.26.005.01.506) ფაქტობრივი მფლობელის (ნანა ხიტირი – პ/N61001040659) საკუთრებაში გადაცემის თაობაზე რეკომენდაციის გაწევის საკითხი. აღინიშნა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების ფაქტობრივ მფლობელთათვის საკუთრებაში გადაცემის წესის" მე-8 მუხლის მოთხოვნებს და აქედან გამომდინარე, ზემოხსენებული კომისიის 2023 წლის 20 ოქტომბრის N26 რეკომენდაციით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ეთხოვა შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების გატარება უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბ-ლიკის საკუთრებად რეგისტრაციისათვის. შემდგომში, იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით.

ვინაიდან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრი-რებული უძრავი ქონების პირდაპირი წესით განკარგვა, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას საკუთრებაში გადმოეცეს ზემოხსენებული ქ. ბათუმის მუნიციპა-ლიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, მემედ აბაშიძის ქ. N29-ში მდებარე უძრავი ქონება (ს.კ. 05.02.26.005.01.506). შემდგომში, იქ მცხოვრებ მოქალაქეზე (ნანა ხიტირი – პ/N61001040659) საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:

21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 21
წინააღმდეგი – 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 4.** „მრავალშვილიანი ოჯახისათვის საცხოვრე-ბელი ბინის საკუთრების უფლებით გადაცემის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსი დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დემოგრაფიული პრობლემის გადასაწყვეტად და შობადობის ხელშეწყობის მიზნით, მუნიციპალიტეტის როლი საერთო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მრავალშვილიანი ოჯახების ხელშემწყობი პროგრამების შემუშავება-განხორციელებაში მდგომარეობს. მუნიციპა-ლიტეტის საბინაო ფონდი იქმნება კანონმდებლობით დადგენილი წესით და მისი მიზანია სოციალური, ეკონომიკური, ქალაქთმშენებლობითი ან/და სხვა მსგავსი მუნიციპალური პროგრამების ფარგლებში საბინაო ფონდში არსებული ბინების შესაბამის ბენეფიციარებზე/პირებზე გადაცემა, განაწილება ან სხვაგვარად განკარგვა. მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინე-ბით უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში საცხოვრებელი ბინები გადაეცემოდათ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ (რეგისტრირებულ) ოჯახებს და იმ ოჯახებს, რომელთა ოჯახის უფროსი წევრებიდან (დედა ან/და მამა) ერთ-ერთი რეგისტრირებულია ქალაქ ბათუმში და რომლებსაც ჰყავდათ 7 (შვიდი) და მეტი შვილი. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების მიზნით მიღებული იქნა გადაწყვეტილება საცხოვრებელი ბინები გადაეცეთ მუნიციპალიტეტის ტე-რიტორიაზე მცხოვრებ (რეგისტრირებულ) ოჯახებს და იმ ოჯახებს, რომელთა ოჯა-ხის უფროსი წევრებიდან (დედა ან/და მამა) ერთ-ერთი რეგისტრირებულია ქალაქ ბათუმში და რომლებსაც ჰყავთ 6 (ექვსი) და მეტი შვილი. შემდეგი პირობებით:

– პროგრამის ბენეფიციარი ოჯახი უზრუნველყოფილი იქნება 1 (ერთი) ან 2 (ორი) საცხოვრებელი ბინით საერთო ფართით 100 კვმ-დან 130 კვმ-მდე. პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ იმ მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთა უფროსი შვილის წლოვანება არ აღემატება 24 წელს. ნაშვილობის შემთხვევაში ნაშვილობის ასაკი უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 3 წელს. ოჯახს ბინა/ბინები გადაეცემა ოჯახის თითოეული წევრის თანასაკუთრებაში (მშობლები და შვილები);

– ბინის/ბინების გადაცემა შესაძლებელია განხორციელდეს გარემონტებულ მდგომარეობაში ან გარემონტების მიზნით ბინის სარემონტო სამუშაოებისათვის მერიის მიერ ერთჯერადად შესაძლებელია გამოიყოს თანხა – 1 კვ. მ -ზე 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

– პროგრამა არ ითვალისწინებს საცხოვრებელი ბინით/ბინებით იმ მრავალშვილიანი ოჯახების უზრუნველყოფას, რომლებსაც სახელმწიფო ორგანო-ზაციის ან სახელმწიფო ორგანოების მიერ საკუთრებაში საცხოვრებელი ბინა უკვე გადაეცათ ან თუკი საკუთრებაში გააჩნიათ

საცხოვრებელი ფართი 100,0 კვ.მ. და მეტი ფართობით. თანაბარი პირობების მქონე ოჯახებს შორის უპირატესობა მიენიჭება სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე ოჯახს;

– პროგრამის ბენეფიციარ ოჯახს საკუთრების უფლების მოწმობის მიღებიდან მომდევნო 10 წლის განმავლობაში ეკრძალება საკუთრებაში გადაცემული ბინის/ბინების გაყიდვა, გაქირავება, უფლებრივად დატვირთვა ან სხვა ნებისმიერი ფორმით განკარგვა;

– პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ იმ მრავალშვილიან ოჯახებს, რომლებიც 2018 წლის 1 იანვრამდე დარეგისტრირდნენ მერიის შესაბამისი სამსახურის მონაცემთა ბაზაში.

მრავალშვილიანმა ოჯახებმა, რომელთა მონაცემებიც შეესაბამება დადგენილ კრიტერიუმებს, პროგრამაში მონაწილეობისათვის უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია: შვილების დაბადების მოწმობები; ქორწინების მოწმობა; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

2022 წლის 25 მარტს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების და სერვისების მართვის სამსახურს №02-1422088396 წერილით მომართა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურმა და მოითხოვა მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, ქ.ბათუმის მერიის საბინაო ფონდში არსებული ბინის შესაბამის ბენეფიციარზე/პირზე გადაცემა-განაწილების ღონისძიების გატარება, რომლის ფარგლებში პროგრამის ბენეფიციარი ოჯახი უზრუნველყოფილი იქნება 1 (ერთი) ან 2 (ორი) საცხოვრებელი ბინით საერთო ფართით 100 კვმ-დან 110 (130) კვმ-მდე. იმ ოჯახს, რომლებსაც საკუთრებაში გააჩნიათ 100,0 კვ.მ.-ზე ნაკლები საცხოვრებელი ფართი, უზრუნველყოფილი იქნება 1 (ერთი) საცხოვრებელი ბინით, ასეთ შემთხვევაში საკუთრებაში არსებული ბინისა და გადასაცემი ბინის საერთო ფართი ჯამში არ უნდა იყოს 100 კვმ-ზე ნაკლები და 110 (130) კვმ-ზე მეტი.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის მიერ გამოთხოვილი იქნა საჯარო რესტრის ეროვნული სააგენტოდან ინფორმაცია მრავალშვილიანი ოჯახის ქონებრივი უფლების შესახებ. აგრეთვე მოწოდებული იქნა სამსახურში დაცული დოკუმენტაცია რომლითაც დგინდება, რომ მრავალშვილიან ოჯახს ჰყავს 7 შვილი, რის დასადასტურებლადაც წარმოდგენილი იქნა დაბადების მოწმობები. ამასთან, დადასტურებულია ის გარემოება, რომ მათი უფროსი შვილის ასაკი არ აღემატება 24 წელს. გარდა აღნიშნულისა, როგორც მრავალშვილიანი (5 და 5-ზე მეტი შვილი) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში იმყოფება აღრიცხვაზე 2018 წლის იანვრამდე. შესაბამისად, აღნიშნული ოჯახი აკმაყოფილებს ქვეპროგრამის კრიტერიუმებს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2023 წლის 27 სექტემბერს გაცემული №209212 ცნობის შესაბამისად, მრავალშვილიანი ოჯახის წევრებს საკუთრებაში არ გააჩნიათ საცხოვრებელი ფართები. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიიჩნევს, რომ მრავალშვილიანი ოჯახის საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფილი უნდა იქნენ და მათ თანასაკუთრებაში უნდა გადაეცეთ: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, შერიფ ხიმშიაშვილის ქ. №1-ში არსებული 107,30 კვ.მ. ფართის №3 საცხოვრებელი ბინა (ბლოკი „ბ“; მე-15 სართული; 22-42 და ა-პ ღერძები; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №05.23.04.051.01.5024.1011) ევგენი შაინიძეს (პ/№61009004914); ნანა შაინიძეს (პ/№61009026381); ლელა შაინიძეს

(პ/№61009032446); ლუზა შაინიძეს (პ/№61509035019); მარი შაინიძეს (პ/№61109035021); ელზა შაინიძეს (პ/№61509035020); ნათა შაინიძეს (პ/№61854001492); ანასტასია შაინიძეს (პ/№61554002173); გელდი შაინიძეს (პ/№61554002473).

**მომხსენებელმა წამოაყენა წინადადება პროექტში ცვლილების შეტანის თაობაზე, კერძოდ დაემატოს განკარგულების პროექტს მეორე პუნქტი:** დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას უზრუნველყოს ქალაქ ბათუმში, შერიფ ხიმ-შიაშვილის ქ. №1-ში არსებული 107,30 კვ.მ. ფართის №3 საცხოვრებელი ბინა (ბლოკი „ბ"; მე-15 სართული; 22-42 და ა-პ ღერძები; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №05.23.04.051.01.5024.1011) სარემონტო სამუშაოების ფულადი ანაზღაურების 26825 ლარის გადახდა წინამდებარე განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი, ცვლილების გათვალისწინებით დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, ცვლილების გათვალისწინებით.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 5.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცვლილება ითვალისწინებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი განცხადებების საფუძველზე, ასევე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებული უძრავი ქონებების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავი ობიე-ქტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში შეტანას, შემდგომი განკარგვის მიზნით. პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე მითითებული ქონების პრივატიზების შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულის მიერ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეტანილი საპრივატიზებო საფასურის სახით.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი, დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 21
წინააღმდეგი – 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 6.** „ქალაქ ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქუჩის ფიროსმანის ქუჩამდე გაგრძელებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ოქტომბრის №გ-15.15232973 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაგეგმილია ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქუჩის ფიროსმანის ქუჩამდე გაგრძელების (შეერთების) განხორციელება. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ოქტომბრის №გ-15.15232973 განკარგულებით მოწონებულ იქნა ფარნავაზ მეფის ქუჩის ფიროსმანის ქუჩამდე გაგრძელების (შეერთების) პროექტი. აღნიშნული პროექტით ქუჩის მოწყობის არეალში მოქცეული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული №05.23.12.022 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქონებაზე დაგეგმილი ინფრასტრუქტურული ღონისძიებებიდან გამომდინარე (არსებული სკოლის შენობის რეკონსტრუქცია, რომელიც მოიცავს მიშენებას შენობის ორივე მხარეს) საჭირო გახდა არსებული პროექტის დაზუსტება/კორექტირება და ნაწილობრივ ცვლილებების შეტანა.

კორექტირებული პროექტი მოიცავს სულ 10 უძრავ ქონებას, მათ შორის კერძო საკუთრებაში რეგისტრირებულ 8 უძრავ ქონებას, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულ ერთ და სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ერთ უძრავ ქონებას, მათგან 7-ზე განთავსებულია შენობება-ნაგებობები. კორექტირებულ პროექტზე მიღებულია ა(ა)იპ საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს (წერილი №90-1423347404, 13.12.2023წ) და ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის (№06-1423349137, 15.12.2023წ) დადებითი მოსაზრებები.

პროექტი ითვალისწინებს ქუჩის მოწყობის არეალში მოქცეულ კერძო და იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების ათვისებას (მიწის ნაკვეთი, შენობა-ნაგებობა), რაც უნდა განხორციელდეს მესაკუთრეებთან შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე. ასათვისებელი, უძრავი ქონების მესაკუთრეებს კომპენსაციის სახით უნდა აუნაზღაურდეთ მათი საბაზრო ღირებულება, ან გადაეცეს საცხოვრებელი ფართი (ტოლფასოვნად), „საქართველოს კონსტიტუციის" და „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონის და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ღონისძიებების ფარგლებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭირო ხდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ოქტომბრის №გ-15.15232973

განკარგულებაში ცვლილებების შეტანა და ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქუჩის ფიროსმანის ქუჩამდე გაგრძელების მშენებლობის პროექტის ახალი რედაქციით დამტკიცება.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 21
წინააღმდეგი – 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 7.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრე-ბაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, იოსებ ნონეშვილის ქ. N1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონო-მიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გა-დაცემის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრე-ბულოს განკარგულების პროექტი;

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2023 წლის 14 დეკემბრის N7434/02 (N07-1423348573-14) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 13 დეკემბრის N14-1423347501 კორესპონდენციის თანახმად დაისვა საკითხი, ,,ბათუმი ავარიული სახლების გარეშე" პროგრამის ფარგლებში, შპს ,,კომუნა ჰოლდინგ"-ის მიერ ქალაქ ბათუმში, იოსებ ნონეშვილის ქ. N1-ში მდებარე ავარიული სახლის ადგილას მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრი-რებული, ქალაქ ბათუმში, იოსებ ნონეშვილის ქ. N1-ის მიმდებარედ არსებული 1 788,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.30.01.216) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის შესახებ, შემდგომში შპს ,,კომუნა ჰოლდინგ"-ისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით საკუთრებაში გადაცემის მიზნით, იმ პირობით, რომ შესაბამისი გარიგების (ხელშეკრულების) გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" N008779623 დასკვნით განსაზღვრული საპრივატიზებო (საბაზრო) ღირებულება – 1 326 912 (ერთი მილიონ სამას ოცდაექვსი ათას ცხრაას თორმეტი) ლარი ჩაირიცხება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

მოქმედი კანონმდებლობით მუნიციპალიტეტი უფლებამოსილი არ არის უძრავი ქონება პირდაპირი მიყიდვის ფორმით საკუთრებაში გადაეცეს ფიზიკურ/იურიდიულ პირებს. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას

მიზანშეწონილად მიაჩნია, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი, კერძოდ, ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი საცხოვრებელი სახლების ლიკვიდაციასა და იქ მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებებიდან გამომდინარე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული ქალაქ ბათუმში, იოსებ ნონეშვილის ქ. N1-ის მიმდებარედ არსებული 1 788,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ. 05.30.01.216) საკუთრებაში გადმოეცეს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას. შემდგომში, ზემოთ მითითებული პირობებით, შპს ,,კომუნა ჰოლდინგ"-ისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 8.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუ-თრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, რურუას ქ. N1-ის და N1ა-ს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრე-ბაში გადაცემის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი დავით კოპინაძე

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია აჭარის ავტონომიური რესპუბ-ლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2023 წლის 14 დეკემბრის N7436/02 (N07-142334939-14) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპა-ლიტეტის მერიის 2023 წლის 13 დეკემბრის N14-1423347216 კორესპონდენციით დასმულია საკითხი „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე" პროგრამის ფარგლებში, შპს ,,ტექტო ფრანკო 1"-ის მიერ ქალაქ ბათუმში, რურუას ქუჩა N1ა -ში მდებარე ავარიული სახლის ადგილას მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენე-ბლობის მიზნით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრი-რებული, ქალაქ ბათუმში, რურუას ქუჩა N1ა-ის მიმდებარედ 637,0 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა (ს.კ. 05.25.10.068) და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, რურუას ქუჩა N1-ის მიმდებარედ 334,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.25.10.075) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის შესახებ, შემდგომში

შპს ,,ტექტო ფრანკო 1“-ისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით საკუთრებაში გადაცემის მიზნით, იმ პირობით, რომ შესაბამისი გარიგების (ხელშეკრულების) გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში მათი საპრივატიზებო საბაზრო ღირებულება ჩაირიცხება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

ვინაიდან, მოქმედი კანონმდებლობით მუნიციპალიტეტი უფლებამოსილი არ არის უძრავი ქონება პირდაპირი მიყიდვის ფორმით საკუთრებაში გადასცეს ფიზიკურ/იურიდიულ პირებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების პროგრამების ფარგლებში განსახორციელებელი, კერძოდ, ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი საცხოვრებელი სახლების ლიკვიდაციასა და იქ მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებებიდან გამომდინარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული ზემოაღნიშნული უძრავი ქონებები (ს.კ. 05.25.10.075 და ს.კ. 05.25.10.068) საკუთრებაში გადაეცეს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას შემდგომ-მში,ზემოთ მითითებული პირობებით შპს ,,ტექტო ფრანკო“-სათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

ამასთან, შპს ,,ტექტო ფრანკო 1“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი განცხადებებით (N10/1423285209-14; 12.10.2023წ და N10/1423289370-14; 16.10.2023წ.) განმარტავს, რომ კომპანია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 841,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 05.25.10.074) განახორციელებს მოსასვენებელი სივრცის (სკვერის) მოწყობას.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 9.** „ქ. ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკი-ცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებუ-ლოს განკარგულების პროექტი (ქ.ბათუმი, გაგარინის ქუჩა - მოქ. ამირან თებიძე)

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - გიორგი წანაწყენიშვილი)

მომხსენებელმა მიესალმა დამსწრე - საზოგადოებას და აღნიშნა, რომ განკარგულების მიღების მიზანია ქ. ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცება.

ამირან თებიძის (პ/N61006077661) მიერ წარმოდგენილია განცხადება, ქალაქ ბათუმში, გაგარინის ქუჩაზე (საკადასტრო კოდები: 05.31.02.062; 05.31.02.061; 05.31.02.040; 05.31.02.168; 05.31.02.131; 05.31.02.132; 05.31.02.046; 05.31.02.166; 05.31.02.023; 05.31.02.024; 05.31.02.003; 05.31.02.041; 05.31.02.019; 05.31.02.002; 05.31.02.105; 05.31.02.068; 05.31.02.109; 05.31.02.110; 05.31.02.122; 05.31.02.010; 05.31.02.101; 05.31.02.125; 05.31.02.080; 22.24.06.178; 05.31.02.118; 05.31.02.117) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე. საპროექტო ტერიტორია მოიცავს შემდეგ საკადასტრო ერთეულებს: (ს/კ: 05.31.02.062; 05.31.02.061; 05.31.02.040; 05.31.02.168) და დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის გადამეტება ხდება 9,0-მდე.

საპროექტო ობიექტის სართულიანობა შეადგენს 25 სართულს. კ2 კოეფიციენტის გადამეტების საკომპენსაციოდ განმცხადებელი იღებს ვალდებულებას გადამეტებული განაშენიანების ინტენსივობის ფართობის 10% გადასცეს ქალაქ ბათუმის მერიას.

წარმოდგენილი კონცეფცია გადაგზავნილი იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში მოსაზრებისათვის, სამინისტროს 2023 წლის 22 ნოემბრის N 01-01-10/6559 წერილით, სამინისტრომ მიზანშეწონილად ჩათვალა კონცეფციის დამტკიცება და დადგინდა გარკვეული პირობები, რომლებიც მას უნდა გაეზიარებინა გეგმის ეტაპზე აღნიშნული პირობის თაობაზე მიეთითა განკარგულების პროექტში. ასევე, ამირან თებიძეს განემარტა მაკომპენსირებელი ღონისძიების შესახებ, რომელიც შეადგენს გადამეტებული განაშენიანების ინტენ-სივობის ფართობის 10 %-ს.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 19
წინააღმდეგი – 1(ა. გვიანიძე)
არ მიიღო მონაწილეობა 1(ვ. დარჩია)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 10.** „ქ. ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკი-ცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებუ-ლოს განკარგულების პროექტი (ქ.ბათუმი, გრიგოლ ლორთ-ქიფანიძის ქუჩა – მოქ. მურად შავლიძე)

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი – გიორგი წანაწყენიშვილი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განკარგულების მიღების მიზანია ქ. ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცება.

მურად შავლიძის (პ/N61006000870) განცხადებით მოთხოვნილია ქალაქ ბათუმში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩაზე (საკადასტრო კოდებით: 05.32.17.400; 05.32.17.401; 05.32.17.402; 05.32.17.410, 05.32.17.031, 05.32.03.495, 05.32.03.877, 05.32.03.521, 05.32.03.594, 05.32.03.593, 05.32.03.621, 05.32.17.284, 05.32.03.883, 05.32.17.314, 05.32.03.632) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცება. საპროექტო ტერიტორია მოიცავს ქალაქ ბათუმში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა N3 და N5-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.32.17.401; 05.32.17.400; 05.32.17.402) მრავალბინიანი კომპლექსის მშენებლობას. განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის გადამეტება ხდება 9,0-მდე.

საპროექტო ობიექტის სართულიანობა შეადგენს 25 სართულს. კ2 კოეფიციენტის გადამეტების საკომპენსაციოდ განმცხადებელი იღებს ვალდებუ-ლებას გადამეტებული განაშენიანების ინტენსივობის ფართობის 10% გადასცეს ქალაქ ბათუმის მერიას.

წარმოდგენილი კონცეფცია გადაგზავნილი იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში მოსაზრებისათვის, სამინისტროს 2023 წლის 07 დეკემბრის N 01-01-10/6776 წერილით, სამინისტრომ მიზანშეწონილად ჩათვალა კონცეფციის დამტკიცება და დადგინდა გარკვეული პირობები, რომლებიც დამკვეთმა უნდა გაითვალისწინოს გეგმა/პროექტის ეტაპზე.

გადამეტებული განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის სანაცვლოდ დამკვეთი ვალდებულია გადამეტებული ინტენსივობის ფართობის 10% გადასცეს ქალაქ ბათუმის მერიას. აღნიშნული ვალდებულების შესახებ მითითებულია განკარგულების პროექტში.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 20 — ა. გვიანიძე

არ ესწრებოდა: 1

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0
არ მიიღო მონაწილეობა 1 (ვ. დარჩია)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მოისმინეს:** **საკითხი 11.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ.ბათუმი, დასახლება ახალსოფელი, ავგიის ქუჩა N22ა, შპს ,,გონიო ლაქშერი რეზიდენსი")

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - გიორგი წანაწყენიშვილი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიებზე წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის დადგენილების მიღება.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მომართა შპს ,,გონიო ლაქშერი რეზიდენსმა'' (ს/N445695089) და მოითხოვა ქ. ბათუმში, დასახლება ახალსოფელში, ავგიის ქუჩა N22ა-ში, ავგიის I ჩიხი N10-ში, მეფე მირიანის I ჩიხი N2-ის მიმდებარედ, მეფე მირიანის II ჩიხი N6,7,8-ში მდებარე მიწის ნაკვეთები (საკადასტრო კოდები: 05.36.21.062; 05.36.21.232; 05.36.21.122; 05.36.21.071; 05.36.21.198; 05.36.21.170; 05.36.21.166; 05.36.21.222; 05.36.21.223; 05.36.21.192; 05.36.21.181; 22.29.01.202; 05.36.21.197, 05.36.21.239, 05.36.21.117, 05.36.21.118, 05.36.21.238, 05.36.21.070, 05.36.21.109) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცება.

გეგმარებითი ერთეული მოიცავს 19 საკადასტრო მიწის ნაკვეთს. მისი ფართობი შეადგენს 25773.00 კმ.-ს. საპროექტო არეალი ბათუმის განაშენიანების გეგმის მიხედვით მდებარეობს დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელ ზონაში, სადაც დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტი უდრის 1,2-ს. საპროექტო ტერიტორია არის მოუწესრიგებელი და არ არის განვითარებული. მისი განაშენიანება ხელს შეუწყობს საპროექტო ტერიტორიის განვითარებას: ინფრასტრუქტურული, სოციალური, ეკონომიკური და სხვა მნიშვნელოვანი ასპექტების კუთხით.

წარმოდგენილი განაშენიანების დეტალური გეგმით არ ხდება განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიცინეტის გადაჭარბება; იცვლება განაშენიანების სიმაღლის მაჩვენებელი 52 მეტრამდე.

შპს ,,გონიო ლაქშერი რეზიდენსის'' მიერ გაზიარებული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2023 წლის 22 ნოემბრის N01-01-10/6560 წერილით დადგენილი პირობები და სამინისტროს 2023 წლის 07 დეკემბრის N01-01-10/6769 წერილის შესაბამისად, მიზანშეწონილია წარმოდგენილი სახით განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცება.

განმცხადებელს დევალება განახორციელოს კანონმდებლობით გათვალსწი-ნებული მაკომპენსირებელი ღონისძიების გადახდა, რომელიც შეადგენს გადამეტებული მაჩვენებლის 10%-ს და დაზუსტდება არქიტექტურული პროექტის ეტაპზე. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან არ ხდება განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის გადაჭარბება და ხდება სიმაღლის გაზრდა, მაკომპენსირებელი ღონისძიების დაანგარიშება მოხდება აღნიშნული პარამეტრის გათვალისწინებით.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხის დაყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:
20 ა. გვიანიძე

არ ესწრებოდა: 1
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 19
წინააღმდეგი – 0
არ მიიღო მონაწილეობა 1 (ვ. დარჩია)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 12.** „ქ. ბათუმში, ადლიის ქ. N51 და N53-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპა-ლიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (შპს „ტემპო ჰოლდინგი")

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი – გიორგი წანაწყენიშვილი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2023 წლის 09 ნოემბერს N10/1423311476-14 განცხადებით მომართა შპს „ტემპო ჰოლდინგმა" (ს/N445686614) და მოითხოვა ქალაქ ბათუმში, ადლიის ქ. N51 და N53-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N05.32.16.322; 05.32.03.904 ) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცება. საპროექტო ობიექტის საკადასტრო კოდი: N05.32.16.322; დაგეგმილია მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა, საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია კ2 კოეფიციენტის გადამეტება 9,0-მდე. დაგეგმვის მიზნებია: განაშენიანების რეგულირება, რომელიც ხორციელდება ქალაქმშენებლობითი გეგმების მეშვეობით; ტერიტორიის განახლება და განვითარება; მიწის ნაკვეთების განვითარება, მათი გამოყენებისა და განაშენიანების კონკრეტული რეგულირება და სათანადო უზრუნველყოფა.

წარმოდგენილი განცხადება გადაგზავნილი იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში მოსაზრებისათვის, სამინის-ტროს 2023 წლის 07 დეკემბრის N01-01-10/6771 წერილის შესაბამისად, სამინისტრო იძლევა რეკომენდაციას განხორციელდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის დამტკი-ცება.

განმცხადებელი განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის გადამეტების საკომპენსაციოდ, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას გადასცემს მომატებული განაშენიანების ინტენსივობის ფართობის 10%-ს, რომლის დაზუსტება მოხდება არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:
20 ა. გვიანიძე

არ ესწრებოდა: 1

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 19
წინააღმდეგი – 0
არ მიიღო მონაწილეობა 1(ვ. დარჩია)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 13.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ.ბათუმი, კომახიძის, ს.ხიმშიაშვილის, პ.ჩაიკოვსკისა და ე.თაყაიშვილის ქუჩებს შორის 32 მიწის ნაკვეთი და დაურეგისტრირებელი 3 მიწის ნაკვეთი – შპს „მმ ჰოლდინგი")

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი – გიორგი წანაწყენიშვილი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2023 წლის 03 ნოემბერს N:10/1423307587-14 განცხადებით მომართა შპს „მმ ჰოლდინგმა" (ს/N405381242) და მოითხოვა ქ. ბათუმში, მ. კომახიძის, ს. ხიმშიაშვილის, პ. ჩაიკოვსკისა და ე. თაყაიშვილის ქუჩებს შორის (მოიცავს 32 მიწის ნაკვეთს, ს/კ: 05.27.37.015, 05.27.37.023, 05.27.37.001, 05.27.37.033, 05.27.37.030, 05.27.37.037, 05.27.37.027, 05.27.37.013, 05.27.37.038, 05.27.37.021, 05.27.37.020, 05.27.37.005, 05.27.37.029, 05.27.37.028, 05.27.37.003, 05.27.37.036, 05.27.37.035, 05.27.37.014, 05.27.37.006, 05.27.37.022, 05.27.37.012, 05.27.37.019, 05.27.37.004, 05.27.37.002, 05.27.37.024, 05.27.37.034, 05.27.37.010, 05.27.37.011, 05.27.37.007 და დაურეგისტრირებელი 3 მიწის ნაკვეთზე) დეტალური გეგმის დამუშავება.

საპროექტო ტერიტორია მოიცავს შემდეგ მიწის ნაკვეთებს: 05.27.37.015, 05.27.37.023, 05.27.37.001, 05.27.37.033; 05.27.37.030, 05.27.37.037 და დაურე-გისტრირებელ მიწის ნაკვეთს, სადაც უნდა აშენდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი. დაგეგმილია 25 სართულიანი ობიექტის მშენებლობა. მოთხოვნილია კ2 კოეფიციენტის გადამეტება 9,0-მდე, რომლის საკომპენსაციოდ განმცხადებელი ვალდ-დებულია გადამეტებული ფართობის 10% გადასცეს ქალაქ ბათუმის მუნი-ციპალიტეტის მერიას.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 20 ა. გვიანიძე

არ ესწრებოდა: 1
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 18

წინააღმდეგი - 0
არ მიიღო მონაწილეობა 2 (ვ. დარჩია, ნ.ძიძიგური)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებულ იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 14.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპა-ლიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ.ბათუმი, დასახლება გონიო - შპს ,,გარდენ ქეი'' და შპს ,,გუმბათი რეზიდენსი")

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - გიორგი წანაწყენიშვილი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2023 წლის N22/1423333361-14 განცხადებით მომართა შპს ,,გარდენ ქეიმ'' (ს/N445686044) და შპს ,,გუმბათი რეზიდენსმა'' (ს/N445704943) და მოითხოვა ქ. ბათუმში, დასახლება გონიოში (ს.კ. 05.36.25.229; 05.36.25.354; 05.36.25.544; 05.36.25.046; 05.36.25.287; 05.36.25.376; 05.36.25.545; 05.36.25.481; 05.36.25.482; 05.36.25.217; 05.36.25.014; 05.36.25.167; 05.36.25.720; 05.36.25.895; 05.36.25.894; 05.36.25.061; 05.36.25.722; 05.36.25.067; 05.36.29.029; 05.36.25.066; 05.36.29.634; 05.36.25.016 და 2 დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამუშავება. დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა, მათში საზოგადოებრივი ობიექტებით და პარკირების ადგილებით.

საპროექტო მიწის ნაკვეთებს წარმოადგენს: (ს.კ. 05.36.25.229; 05.36.25.354; 05.36.25.544; 05.36.25.046; 05.36.25.287; 05.36.25.376; 05.36.25.545; 05.36.25.481; 05.36.25.482; 05.36.25.217; 05.36.25.014 და დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთი). ასევე, დაგეგმილია გამწვანების და სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობა.

შპს „გუმბათი რეზიდენსი''-ს მიერ დაგეგმილი საპროექტო ობიექტის (ს/კ 05.36.25.229; 05.36.25.354; 05.36.25.544; 05.36.25.046; 05.36.25.287; 05.36.25.376; 05.36.25.545; 05.36.25.481; 05.36.25.482; 05.36.25.217; 05.36.25.014 და დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთი) სავარაუდო ტექნიკური მაჩვენებლები: მიწის ნაკვეთების ფართობები - საერთო ფართობი: 9507,00 კვ.მ;

შპს ,,გარდენ ქეი''-ს მიერ დაგეგმილი საპროექტო ობიექტის (ს/კ 05.36.25.167)სავარაუდო ტექნიკური მაჩვენებლები: მიწის ნაკვეთის ფართობები - ფართობი **4200,00** კვ.მ; ორივე შემთხვევაში ხდება დადგენილი სიმაღლის მაჩვენებლის გადამეტება 60 მეტრამდე, აღნიშნული გადამეტების საკომპენსაციოდ; თითოეული კომპანია ვალდებულია გადამეტებული მაჩვენებლის 10-10 % გადასცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხის დაყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 20 ა. გვიანიძე

არ ესწრებოდა: 1

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0
არ მიიღო მონაწილეობა 2 (ვ. დარჩია, ნ. ძიძიგური)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 15.** „ქ. ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიაზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკი-ცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრე-ბულოს განკარგულების პროექტი (ქ.ბათუმი, ფიროსმანის ქ. N13-15-17-17ა - შპს ,,ჩემი სახლი")

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - გიორგი წანაწყენიშვილი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განკარგულების მიღების მიზანია ქ. ბათუმში, ფიროსმანის ქ. N13-ში; ფიროსმანის ქ.N15-ში; ფიროსმანის ქ.N17-ში; ფიროსმანის ქ.N17ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე 05.24.08.108; 05.24.08.169; 05.24.08.107; 05.24.08.155; 05.24.08.173 განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცება.

ქალაქ ბათუმის მუნიიცპალიტეტის მერიას განცხადებით მომართა შპს ,,ჩემი სახლი''-მ და მოითხოვა ქ. ბათუმში, ფიროსმანის ქ. N13-ში; ფიროსმანის ქუჩა-ზე; ფიროსმანის ქ. N15-ში; ფიროსმანის ქ. N17-ში; ფიროსმანის ქ. N17ა-ში მდება-რე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.24.08.108; 05.24.08.169; 05.24.08.107; 05.24.08.155; 05.24.08.173) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მოიცავს შემდეგ მიწის ნაკვეთებს: ქ. ბათუმში, ფიროსმანის ქ. N13-ში და ქ. ბათუმში, ფიროსმანის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთები 05.29.06.024; N05.29.06.025. დაგეგმილია განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის გაზრდა 18,5-მდე.

შპს ,,ჩემი სახლი'' (ს/N445596310) ვალდებულია დაიცვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2023 წლის 07 დეკემბრის N01-01-10/6773 წერილით დადგენილი მოთხოვნები. კ2 კოეფიციენტის გადამეტების საკომპენსაციოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონის-ძიება განისაზღვროს საპროექტო მიწის ნაკვეთებზე დაგეგმილ მშენებლობის (შეთან-ხმებული პროქტის მიხედვით გადამეტებული) კ1/2 მაჩვენებლის 10%-ის ოდენობით-

საცხოვრებელი ფართობით ან იგივე ოდენობის სხვა მაკომპენსირებელი ლონისძიე-ბით.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 20 ა. გვიანიძე

არ ესწრებოდა: 1

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 18
წინააღმდეგი – 0
არ მიიღო მონაწილეობა 2 (ვ. ლორჩია, ნ. ძიძიგური)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 16.** „მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტის განხორციელების მიზნით, საქართველოს კანონით „საქა-რთველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" გათვალისწინებული ლოოებით ხელშემწყობი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (ქ.ბათუმი, ანგისის პირველი შესახვევში 22; 22ა; 24; 26; 26ა, შპს „ბათ დეველოპმენტი" – კოეფიციენტის გაზრდა)

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი – გიორგი წანაწყენიშვილი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განკარგულების მიღების მიზანია მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტის განხორციელების მიზნით საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" გათვალისწინებული ლოოებით ხელშემწყობი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ განკარგულების მიღება.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2023 წლის 04 დეკემბერს N10/1423338194-14 განცხადებით მომართა შპს „ბათ დეველოპმენტმა" (ს/N447865551) და მოითხოვა მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტის განხორციელების სანაცვლოდ, ქ. ბათუმში, ანგისის პირველ შესახვევში N22; N22ა; N24; N26-ში; N26ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N05.32.01.395; N05.32.13.015; N05.32.01.749; N05.32.01.833; N05.32.01.242; N05.32.01.241) დაგეგმილი მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის (ერთი 27 სართულიანი და ერთი 21 სართულიანი) საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით განსაზღვრული ლოოებით ხელშეწყობი ღონისძიებების დამტკიცება, კერძოდ განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის გაზრდა 9,0-მდე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებით (შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის)

გათვალისწინებულისგან განსხვავებული პირობებით ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციისა და სამშენებლო დოკუმენტაციის დამტკიცება.

მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტის განხორციელების არსი მდგომარეობს შემდეგში: სამშენებლო მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N05.32.01.395; N05.32.13.015; N05.32.01.749; N05.32.01.833; N05.32.01.242; N05.32.01.241), ასევე დამატებით ანგისის I შესახვევი N28-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ N05.32.13.483) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაგეგმილია საპროექტო ქუჩის გაყვანა. წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტისათვის ხელის შეწყობას ამ პროექტის განხორციელებაში და საპროექტო ქუჩის გასაყვანად მუნიციპალიტეტს უვადო და უსასყიდლო სერვიტუტის უფლებით დაეთმობა ჯამში 1562.00 კვ.მ მიწის ნაკვეთ(ებ)ი.

წარმოდგენილი განცხადება განხილული იქნა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 23 აგვისტოს Nბ14.14223511 ბრძანებით შექმნილი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით" გათვალისწინებული სათათბირო საბჭოზე.

აღნიშნული საბჭოს 2023 წლის 05 დეკემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად, გაცემული იქნა დადებითი რეკომენდაცია, მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტის განხორციელების სანაცვლოდ, ქ. ბათუმში, ანგისის პირველ შესახვევში N22; N22ა;N24; N26-ში; N26ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე N05.32.01.395; N05.32.13.015; N05.32.01.749; N05.32.01.833; N05.32.01.242; N05.32.01.241 დაგეგმილი მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის კანონით განსაზღვრული დროებით ხელშეშლშწყობი ღონისძიებების დამტკიცებაზე; კერძოდ: განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 9,0-მდე გაზრდაზე და სიმაღლის განსხვავებული პარამეტრის დადგენის თაობაზე.

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ქალაქმშენებლობითი პირობებიდან გამომდინარე, შესაძლებელია განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება, ასევე, სიმაღლის განსხვავებული პარამეტრის დადგენა. შესაბამისად, პროექტის განხორციელებით მიიღწევა რამოდენიმე მიზანი:

ა) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას დაგეგმილი საპროექტო გზების გაყვანისათვის უვადო და უსასყიდლო სერვიტუტის უფლებით დაეთმო-ბა ჯამში 1562.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი;

ბ) განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის გადამეტების სანაცვლოდ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას გადაეცემა გადამეტებული განაშენიანების ინტენსივობის ფართობის 10% - სასარგებლო ფართობის სახით.

ამასთან, სამშენებლო ტერიტორიაზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის გადაჭარბება 9,0-მდე და სიმაღლის განსხვავებული პარამეტრის დადგენა შესაძლებელია არსებული ქალაქთმშენებლობითი პირობებიდან გამომ-დინარე.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 20 ა. გვიანიძე

არ ესწრებოდა: 1

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0
არ მიიღო მონაწილეობა 2 (ვ.

დარჩია, ნ.ძიძიგური)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 17.** „ავარიული სახლის ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის გაზრდის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (ქ.ბათუმი, ანგისის I შესახვევი N73 – 75 – 75 – 75ბ/ჰელიმიშის N70, ავარიული სახლი გ.კვინიტაძის 28, შპს „ანგისა ბილდ სი კონსტრაქშენი" – კოეფიციენტის გაზრდა)

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი – გიორგი წანაწყენიშვილი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განკარგულების მიღების მიზანია ავარიული სახლის ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის გაზრდა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2023 წლის 04 ოქტომბერს N:10/1423277387-14 განცხადებით მომართა შპს ,,ანგისა ბილდ სი კონსტრაქშენმა'' (ს/N 445714549) და ითხოვა ავარიული სახლის ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში სამშენებლო ტერიტორიაზე დროებითხელშემწყობი ღონისძიების სახით – განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის გაზრდა; კერძოდ; კომპანია კისრულობს ვალდებულებას მოახდინოს ქ. ბათუმში, გ. კვინიტაძის ქ. N28-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე N05.32.09.236 არსებული ავარიული სახლის დემონტაჟი (სახლის ავარიულობა დადასტურებულია შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნით) და დააკმაყოფილოს ავარიული სახლის მესაკუთრეები საცხოვრებელი ბინებით; სანაცვლოდ მოითხოვნილია ქ. ბათუმში, ანგისის I შესახვევი #73- 75-75-75ბ/ჰემილიშის ქ. #70-ში, ს/კ. 05.32.13.309 05.32.13.503. 05.32.13.504 05.32.01.783. 05.32.13.308 დაგეგმილი მშენებლობისათვის განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის გადამეტება – 15,0-მდე. წარმოდგენილი განცხადება განხილული იქნა სათათბირო საბჭოზე. საბჭოს მიერ გაცემული იქნა დადებითი რეკომენდაცია. კ2 კოეფიციენტის გადამეტების საკომპენსაციოდ ხდება ავარიული სახლის მესაკუთრეების დაკმაყოფილება და ასევე აღნიშნულის სანაცვლოდ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მშენებლობის ნებართვის აღების პარალელურად საკუთრებაში გადაეცემა შენობა-ნაგებობის გაზრდილი ფართობის არანაკლებ 10%-სა სასარგებლო ფართობის სახით, რომელიც გამოყენებულ უნდა იყოს სოციალური მიზნით, ავარიული ბარაკული ტიპის საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლებისთვის.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 20 ა. გვიანიძე

არ ესწრებოდა: 1

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 18

წინააღმდეგი – 0

არ მიიღო მონაწილეობა 2 (ვ. დარჩია, ნ.ძიძიგური)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 18.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრე-ტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) დამტკიცების შესახებ" ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის N 25 განკარგულებაში ცვლილების შეტა-ნის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებუ-ლოს განკარგულების პროექტი (ხდება არსებული ზონების კორექტირება)

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი – გიორგი წანაწყენიშვილი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განკარგულების მიღების მიზანია „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) დამტკიცების შესახებ" ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის N25 განკარგულებაში ცვლილების შეტანა.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით ხდება „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) დამტკიცების შესახებ" ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის N25 განკარგულებაში ცვლილების შეტანა; ამ მიზნით კანონმდებლობით დადგენილი წესით დაწყებული იქნა საჯარო ადმინისტრაციული წარმოება; ცნობა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნებული იქნა ოფიციალურ ვებ გვერდზე.

ხდება არსებული ზონების კორექტირება. ზონირების რუკაში ცვლილებისას გამოყენებული იქნა ა(ა)იპ ,,სითი ინსტიტუტი საქართველო"-ს მიერ ნაწარმოები კვლევები. აღნიშნული ცვლილების შესახებ მოსაზრებებისათვის გადაეგზავნა ა(ა)იპ ,,სითი ინსტიტუტი საქართველო"-ს, რომელმაც წარმოგვიდგინა თავისი მოსაზრებები ფუნქციური ზონირების რუკის ნაწილში; რაც გაზიარებული იქნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 20 — ა. გვიანიძე

არ ესწრებოდა: 1

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 19
წინააღმდეგი – 0
არ მიიღო მონაწილეობა 1(ვ. დარჩია)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 19.** „თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე" თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრე-ბულოს დადგენილების პროექტი (ქ.ბათუმი, ალიის დასახლებაში გზების ნაწილში ცვლილება – მოქ. ალექსანდრე გელაძე)

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი – გიორგი წანაწყენიშვილი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2023 წლის 22 ნოემბერს N:19/1423326519-14 განცხადებით მომართა ალექსანდრე გელაძემ და მოითხოვა არსებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გზების ნაწილში ცვლილება. კერძოდ, ქ. ბათუმში, ალიის დასახლებაში, სადაც უნდა გავიდეს საპროექტო გზა მისი კონფიგურაციის ცვლილება წარმოდგენილი ესკიზური ნახაზის შესაბამისად.

ამ მიზნით, ცვლილება უნდა შევიდეს „თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე" თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილებაში და თანდართული (გრაფიკული) სახით ჩამოყალიბდეს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საინჟინრო ნაწილის ძირითადი გზებისა და ქუჩების, მათ შორის საპროექტო გზებისა და ქუჩების ქსელის რუკა (1.9).

მომხსენებელმა წარმოადგინა კორექტირებული კონკრეტული ზონირების რუკა, რომელზეც კენჭი უნდა ეყაროს წარმოდგენილი ცვლილების გათვალისწი-ნებით.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი, ცვლილების გათვალისწინებით დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 (ა. გვიანიძე, ვ. დარჩია)

არ ესწრებოდა: 2

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 19
წინააღმდეგი – 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, ცვლილების გათვალისწინებით.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 20.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ.ბათუმი, თ.მაქაცარიას 11, 13, 13ა და მიმდებარედ, აგრეთვე, შავშეთის 7, 7ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთები – შპს „სქაი ბათუმი“)

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი – გიორგი წანაწყენიშვილი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მერიას განცხადებით მომართა ,,სქაი ბათუმმა'' (ს/N445552866) და მოითხოვა ქალაქ ბათუმში, თ. მაქაცარიას ქუჩა N11, N13, N13ა-ში და თ. მაქაცარიას ქუჩის მიმდებარედ, აგრეთვე, შავშეთის ქუჩა N7, N7ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთების ( ს/კ 05.29.07.004, 05.29.07.076, 05.29.07.077, 05.29.07.099, 05.29.07.053, 05.29.07.068, 05.29.07.052, 05.09.07.021) და დაურეგისტრირებელ მიწაზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცება.

დაგეგმვის ობიექტს წარმოადგენს ქალაქ ბათუმში, თ. მაქაცარიას ქუჩა N11, N13, N13ა-ში და თ. მაქაცარიას ქუჩის მიმდებარედ, აგრეთვე, შავშეთის ქუჩა N7, N7ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთების (ს/კ. 05.29.07.004, 05.29.07.076, 05.29.07.077, 05.29.07.099, 05.29.07.053, 05.29.07.068, 05.29.07.052, 05.09.07.021) და დაურეგისტრირებელი მიწის სამშენებლოდ განვითარების მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავება. საპროექტო მიწის ნაკვეთებზე დაგეგმილია სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა, გამწვანების ადგილების და ავტოსადგომების მოწყობა.

გდგ-ს შემუშავების წინაპირობაა წინასაპროექტო კვლევა, მათ შორის ფიზიკური გარემოს – სივრცითი, ინფრასტრუქტურის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის კვლევა, ასევე უფლებრივი გარემოს, დოკუმენტური მონაცემების შესწავლა და დაინტერესებული პირთა, აგრეთვე ხელისუფლების ორგანოების მოსაზრებებისა და ინტერესების განხილვა/შეწონვა.

გეგმარებითი ერთეულის გდგ-ს შემუშავების მიზნით, მოქმედი კანონმდებლო-ბის შესაბამისად, პირველ ეტაპზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 06 მარტის Nბ14.14230655 ბრძანების საფუძველზე, შემუშავდა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით დამტკიცდა გდგ-ს კონცეფცია, რომლის საფუძველზე შემუშავდა გდგ-ს პროექტი.

მოთხოვნილია განაშენიანების ინტენსივობის გადამეტება 17,0-მდე, რის საკომპენსაციოდ გადამეტებული ფართობის 10% გადაეცემა ქალაქ ბათუმის მუნიციპალი-ტეტის მერიას საკუთრებაში.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 (ა. გვიანიძე, ვ.დარჩია)

არ ესწრებოდა: 2

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 18
წინააღმდეგი – 0
არ მიიღო მონაწილეობა 1(ნ. ძიძიგური)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებულ იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 21.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგ-მის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალი-ტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ.ბათუმი, ზ.გორგილაძის 113-ში და პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარედ, ფიროსმანის 10-ში, ფიროსმანის 8-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთებზე – შპს ,,ცენტრალ სითი ლაინი'' და შპს ,,ბლუ სი თაუერი")

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი – გიორგი წანაწყენიშვილი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2023 წლის 09 ნოემბერს N:22/1423313149-14 განცხადებით მომართა შპს ,,ცენტრალ სითი ლაინმა'' (ს/N4456866870 შპს ,,ბლუ სი თაუერმა" (ს/N445686687) და მოითხოვეს ქალაქ ბათუმში, ზ, გორგილაძის ქ, N113-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ( ს/კ. 05.24.05.126) და ფიროსმანის ქუჩა N10-ში, ზურაბ გორგილაძის ქუჩის ბოლოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარედ, ფიროსმანის ქუჩა N8-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (ს/კ: 05.24.05.017, 05.24.05.132, 05.24.05.234) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცება.

მოთხოვნილია სამშენებლოდ განვითარების მიზნით, განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავება. საპროექტო მიწის ნაკვეთზე დაგეგმილია მრავალბინიანი მრავალსართულიან საცხოვრებელი სახლების მშენებლობა (მათ შორის ერთი აპარტამენტებით), მათში გასართობი სივრცეების საზოგადოებრივი და კვების დანიშნულების ობიექტების, აგრეთვე ავტოსადგომების მოწყობა.

გდგ-ს შემუშავების წინაპირობაა წინასაპროექტო კვლევა, მათ შორის ფიზიკური გარემოს – სივრცითი, ინფრასტრუქტურის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის კვლევა, ასევე უფლებრივი გარემოს, დოკუმენტური მონაცემების შესწავლა და დაინტერესებულ პირთა მოსაზრებებისა და ინტერესების განხილვა/შეწონვა.

საპროექტო მიწის ნაკვეთები წარმოადგენენ სამშენებლო მიწის ნაკვეთებს, რომელთაგან ერთზე ს.კ. 05.24.05.126, დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რომელშიც განთავსებული იქნება აპარტამენტები, გასართობი სივრცე, კომერციული, კვების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტები და აუზი, საკონფერენციო დარბაზი, მოეწყობა პარკინგი მიწისქვეშა და მიწისზედა სართულებზე. სამ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდებით 05.24.05.017, 05.24.05.132, 05.24.05.234, ასევე, დაგეგმილია მრავალბინიანი სახოვრებელი სახლის განთავსება, რომელშიც ასევე, მოწყობილი იქნება კომერციული დანიშნულების ობიექტი, პარკინგი მიწისქვეშა და მიწისზედა სართულებზე. სამი ნაკვეთიდან ერთზე, ს.კ. 05.24.05.017, განთავსებულია ე.წ. „ხრუშოვის ტიპის" მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც ექვემდებარება დემონტაჟს. საპროექტო მიწის ნაკვეთებზე, ასევე, დაგეგმილია გამწვანების და სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობა. პროექტის განხორციელების მიზნით, განაშენიანების დეტალური გეგმით დაგეგმილია მიწის ნაკვეთებზე, ქალაქმშენებლობის პარამეტრის, კერძოდ, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ2-ის სიდიდის ცვლილება/გაზრდა დადგენილი 4,6-დან 17,0-მდე, ასევე მაქსიმალური სიმაღლეების და სხვა პირობების განსაზღვრა.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 18
წინააღმდეგი – 0
არ მიიღო მონაწილეობა 3 (ვ. დარჩია, ა.გვიანიძე, ნ. ძიძიგური)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 22.** „მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტის განხორციელების მიზნით, საქართველოს კანონით „საქარ-თველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" გათვალისწინებული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებების დამტკიცების შესა-ხებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკა-რგულების პროექტი (ქ.ბათუმი, გრიგოლ ელიავას 41ა – შპს ,,კაზა დი ბათუმი", კოეფიციენტის გაზრდა)

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი – გიორგი წანაწყენიშვილი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განკარგულების მიღების მიზანია მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტის განხორციელების მიზნით საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" გათვალისწინებული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ განკარგულების მიღება.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას წინადადებით მომართა შპს ,,კაზა დი ბათუმმა'' (ს/N405389397) და მოითხოვა მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტის განხორციელების მიზნით ქ. ბათუმში, გრიგოლ ელიავას ქ. N41ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ N05.32.14.136) მშენებარე მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე 3 სართულის დაშენება. დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილია შემდეგი დასაბუთება: სამშენებლო ობიექტი წლების განმავლობაში იყო მიტოვებული, რაც ბათუმის ახალ უბანს უკარგავდა იერსახეს, ასობით მესაკუთრე იყო საფრთხის ქვეშ დარჩენილიყო ბინის გარეშე. მას შემდეგ რაც აღნიშნულმა კომპანიამ გადმოიბარა მშენებლობა, დაწყებული იქნა მშენებლობის პროცესის გაგრძელება და მისი სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა. ობიექტზე სამი სართულის დაშენება არ მოვა წინააღმდეგობაში მოქმედ კანონმდებლობასთან, წარმოდგენილია და შესაბამის ეტაპებზე ასევე წარმოდგენილი იქნება კანონით გათვალისწინებული დოკუმენ-ტაციები.

მიწის ნაკვეთის ნაწილზე, სადაც ხორციელდება მშენებლობა ქალაქ ბათუმის მერიის მიერ გადის საპროექტო გზა, რომელიც უსასყიდლოდ გადაეცემა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას, რისთვისაც მუნიციპალიტეტი საკუთარი ბიუჯეტიდან დაზოგავს თანხას, რომელიც მას დასჭირდებოდა საკუთრების ექსპრო-პრიაციის დროს. საპროექტო ობიექტის სართულიანობა დამატების შედეგად შეადგენს 18 სართულს.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:
21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0
არ მიიღო მონაწილეობა 2 (ვ. დარჩია, ა.გვიანიძე)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 23.** „ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. N131-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: N05.26.01.089 და N05.26.01.095) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცე-ფციის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპა-ლიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (შპს „ბაგრატიონის რეზიდენსი")

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - გიორგი წანაწყენიშვილი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუ-მის მუნიციპალიტეტის მომართა შპს ,,ბაგრატიონის რეზიდენსმა'' და მოითხოვა ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. N131-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: N05.26.01.089 და N05.26.01.095) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცება.

სამშენებლო მიწის ნაკვეთზე განთავსებულია საზოგადოებრივი ობიექტი, მის სანაცვლოდ დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, გამ-წვანების მოწყობა და სათანადო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა. განაშენი-ანების დეტალური გეგმის კონცეფციით დაგეგმილია მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით 05.26.01.089 ქალაქმშენებლობის პარამეტრის, კერძოდ განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ2-ის სიდიდის ცვლილება/გაზრდა დადგენილი 4,6-დან 9,5-მდე, ასევე მაქსიმალური სიმაღლეების და სხვა პირობების განსაზღვრა.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:
21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 18
წინააღმდეგი – 0
არ მიიღო მონაწილეობა 3 (ვ. დარჩია, ა.გვიანიძე, ნ. ძიძიგური)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 24.** „ქ. ბათუმში, კახაბრის ქ. N48-ში; ხახულის ქ.N50-ში; დასახლება ურეხში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 05.31.07.179; 05.31.07.208; 05.31.07.210) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (შპს „მაქრო") (მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი – გიორგი წანაწყვენიშვილი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მომართა შპს ,,MAQRO''-მ და მოითხოვა ქ. ბათუმში, კახაბრის ქ. N48-ში; ხახულის ქ.N50-ში; დასახლება ურეხში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 05.31.07.179; 05.31.07.208; 05.31.07.210) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცება. საპროექტო ტერიტორია ემთხვევა გეგმარებითი ერთეულის ტერიტორიას.

მოთხოვნილია განაშენიანების ინტენსივობის გაზრდა 1,8-დან 3,0-მდე, რისთვისაც საჭირო გახდა გდგ-ს დამუშავება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2023 წლის 15 დეკემბრის N 01-01-10/6900 წერილით დადგინდა შენიშვნები, რომელიც უნდა იქნეს გაზიარებული გეგმა/პროექტის ეტაპზე.

დაგეგმვის მიზანია არსებული განაშენიანების განვითარება.

პროექტით დაგეგმილია 8 შენობის განთავსება, რომელთაგან 7 არის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, ხოლო ერთი სასტუმრო.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 18
წინააღმდეგი – 0
არ მიიღო მონაწილეობა 3 (ვ. დარჩია, ა.გვიანიძე, ნ. ძიძიგური)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 25.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნი-ციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის

თობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი ნუკრი ფუკანაძე)

მომხსენებელმა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ საქართველოს კანონის „თავდაცვის კოდექსი“ 180-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს, რომლებიც უკავშირდება სამხედრო აღრიცხვასა და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, წვევამდელთა ერთვნულ სამხედრო სამსახურს (გაწვევის ორგანიზებას, გამოძახებას, გაწვევას, გაწვევისგან გათავისუფლებას ან გაწვევის გადავადებას), სამობილიზაციო სარეზერვო სამხედრო სამსახურს (ჩარიცხვას, გამოძახებას, გაწვევას, გაწვევისგან გათავისუფლებას ან გაწვევის გადავადებას), 2024 წლის 01 იანვრამდე ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერი ან/და მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი სტრუქტურული ერთეული, ხოლო 2024 წლის 01 იანვრიდან აღნიშნულ უფლე-ბამოსილებებს კოდექსის შესაბამისად განახო-რციელებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. აღნიშნულის გათვალისწინებით, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების მიზნით, 2024 წლის 01 იანვრიდან უნდა გაუქმდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედი ზემოაღნიშნული უფლებამოსილებების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეული, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მობილიზაციის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური.

ასევე, დადგენილების პროექტით გათვალისწინებული სხვა ცვლილებები გამოწვეულია საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართვე-ლობის კოდექსი“ შესული ცვლილებებით, რითაც მოხდება მერიის დებულების ცალკეული ნორმების კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანა.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0
არ მიიღო მონაწილეობა 3 (ვ. დარჩია, ა.გვიანიძე, ნ. ძიძიგური)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 26**. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მობილიზაციის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსა-ხურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №24 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენი-ლების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი ნუკრი დეკანაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს კანონის „თავდაცვის კოდექსი“ 180-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს, რომლებიც უკავშირდება სამხედრო აღრიცხვასა და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურს (გაწვევის ორგანიზებას, გამოძახებას, გაწვევას, გაწვევისგან გათავისუფლებას ან გაწვევის გადავადებას), სამობილიზაციო სარეზერვო სამხედრო სამსახურს (ჩარიცხვას, გამოძახებას, გაწვევას, გაწვევისგან გათავისუფლებას ან გაწვევის გადავადებას), 2024 წლის 01 იანვრამდე ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერი ან/და მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი სტრუქტურული ერთეული, ხოლო 2024 წლის 01 იანვრიდან აღნიშნულ უფლებამოსილებებს კოდექსის შესაბამისად განახო-რციელებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. აღნიშნულის გათვალისწინებით, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების მიზნით, 2024 წლის 01 იანვრიდან უნდა გაუქმდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედი ზემოაღნიშნული უფლებამოსილებების განმახორციელებელი სტრუქ-ტურული ერთეული, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მობილიზაციის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 21
წინააღმდეგი – 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 27.** „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში უფლებამოსილი პირის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის

წესისა და ავტოსატრა-ნსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გად-ყვანის ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 02 ნოემბრის №55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპა-ლიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ა(ა)იპ - ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების განყოფილების უფროსი ლაშა მამულაძე)

მომხსენებელმა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 240[1] მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად: მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია განსაზღვროს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მუნიციპალიტეტის კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ სფეროში ჩადენის შემთხვევაში სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირების საფასური და სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასური მსუბუქი ავტომობილის, მოტოციკლის, კვადროციკლის, მოპედის შემთხვევაში – არაუმეტეს 300 ლარის ოდენობით, ხოლო სხვა სახეობის სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში – არაუმეტეს 800 ლარის ოდენობით, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე შენახვის საფასური მსუბუქი ავტომობილის, მოტოციკლის, კვადროციკლის, მოპედის შემთხვევაში – დღეში არაუმეტეს 20 ლარის ოდენობით, ხოლო სხვა სახეობის სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში – დღეში არაუმეტეს 100 ლარის ოდენობით.

პროექტის მიზანია, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში უფლებამოსილი პირის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის წესისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 02 ნოემბრის №55 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 10/11/2011წ., სარეგისტრაციო კოდი: 310120000.35.132.016082) ცვლილების შეტანა, კერძოდ, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისას ტრანსპორტირების საფასურის განსაზღვრა 100 (ასი) ლარის ოდენობით, ნაცვლად 45 (ორმოცდახუთი) ლარისა.

დადგენილების პროექტის მიხედვით, იცვლება დადგენილების მე-6 პუნქტი და ჩამოყალიბდეს უნდა შემდეგი რედაქციით:

„6. დადგინდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისას ტრანსპორტირების ხარჯი 100 (ასი) ლარის ოდენობით.“.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:
21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0
არ მიიღო მონაწილეობა 2 (ვ. დარჩია, ა.გვიანიძე)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 28.** „ცენტრალურ პარკში ანრი ტაბალუას პატივსაცემად ფუნქციონალური სკამისა და მემორიალური ობიექტის (მოლბერტის) განთავსების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების კულტურის ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ლევან ცხოიძე)

მომხსენებელმა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ახალგაზრდა ფოტოგრაფი ანრი ტაბალუა ვარშავაში სწავლობდა. გატაცებული იყო დოკუმენტური და ქუჩის ფოტოგრაფიით. ტაბალუას შემოქმედება პოპულარობით სარგებლობდა ქვეყანაში.

ახალგაზრდა ფოტოგრაფი ხშირად სტუმრობდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონს და იქიდან შთამბეჭდავ კადრებს უზიარებდა საზოგადოებას.

ანრი ტაბალუას კოლექციაში ბევრი განსაკუთრებული ფოტოა, თუმცა თავად ფოტოგრაფი ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევდა ორ ნამუშევარს - "ნისლი ბათუმში" და "წვიმიანი ბათუმი".

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0
არ მიიღო მონაწილეობა 2 (ვ. დარჩია, ა.გვიანიძე)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 29.** „ქალაქ ბათუმში რუსთაველის ქ. N53ა-ში მდებარე სკვერში არჩილ აბაშიძის მემორიალური დაფის სადგამით განთავსების თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიცია-ლიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების კულტურის ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ლევან ცხოიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ არჩილ აბაშიძე იყო წარმატებული სტუდენტი, პერსპექტიული სპორტსმენი აღმოსავლური ბრძოლის სახეობა კარატეში. საშუალო ასაკი ბავშვებში ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი, რამოდენიმეჯერ შიგა საქალაქო თუ რესპუბლიკურ ორთაბრძოლებში გამარჯვებული. მისი სპორტისადმი სიყვარულის თვალსაჩინო მაგალითია მის მიერვე მოპოვებული მასალებით დამეგობრების დახმარებით გაკეთებული მოქმედი ორძელები ბათუმში რუსთაველის ქუჩაზე დელფინარიუმის და კორტების წინ. წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ქალაქ ბათუმში, რუსთაველის ქ.N53ა-ში მდებარე სკვერში განთავსდეს არჩილ აბაშიძის მემორიალური დაფა სადგამით.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 20 — ა. გვიანიძე

არ ესწრებოდა: 1

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს :** **მიღებულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 30.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკი-ცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებუ-ლოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიცი-პალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტით გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების ხელფასების 10%-იანი ზრდა.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:20 ა. გვიანიძე

არ ესწრებოდა: 1
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 19
წინააღმდეგი – 0
არ მიიღო მონაწილეობა – 1(ვ. დარჩია)

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 31.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი – ირაკლი თავართქილაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ – ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღება ითვალისწინებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობის გაზრდას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 20 ა. გვიანიძე

არ ესწრებოდა: 1
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 19
წინააღმდეგი – 0
არ მიიღო მონაწილეობა – 1(ვ. დარჩია)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებულ იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე
რამაზ ჯინჭარაძე

სხდომის მდივანი: მზევინარ წულუკიძე